ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 8 ნოემბერი, 2018 №265 (7810) ფასი: 60 თეთრი

რუსეთი ქართული მიწების ოკუპაციას აგრძელებს

გვ.4

საქართველო პროცესს მშვიდად აკვირდება

„ივანიშვილი ქვეყნიდან ქონების გასატანად ემზადება, მაგიტომაც ითხოვა ერთი წელი“

გვ.2

ნიკა ვარდოშვილი: „საქართველოს მთავარი მტერი ე.წ. ინტელიგენციაა, რომელსაც თავი ხელისუფლების გადმოყრილი ნასუფრალით გააქვს“

სოსო ჯაჭვლიანი: „კი, ცოცხები აღარ არის, მაგრამ პროგრესიც ხომ გვინდა?!“

გვ.4

გოჩა ფიფია: „ნაციონალების დაბრუნებას არ დავუშვებთ“

გვ.5

„პოლიტიკაში წასვლას არ გამოვრიცხავ“

ალექსანდრე ბარამიძე: „პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს მხარს არ დავუჭერ“

გვ.4

„სამჯერ მოხდა ჩემი დახვრეტის ინსცენირება“

სამართალი გვ.7

სასამართლომ „საქნახშირის თანამშრომლები პატიმრობაში დატოვა

ვარკეთილში 9 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს

ამბობენ, რომ გოგონა მამინაცვალს შემოაკვდა, რის შემდეგაც მან სახლში გაზი გაუშვა

მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი პატიმრობაში რჩება

ეკონომიკა გვ.6

თემურ ჭყონია: „ბაზარზე უნესო ფული ტრიალებს“

„ეროვნული ბანკი დიდ ბომბზე ზის“

საქონლის ხორცი 2-4 ლარით გაძვირდა

რა გახდა მსხვილფეხა საქონლის დეფიციტის მიზეზი?

ქართული მატყლი ევროკავშირში იყიდება

ISSN 1987-9385

5 კრემლმა ოკუპირებულ აფხაზეთში ახალგაზრდობის მობილიზება დაიწყო

3 კონსტანტინე გამსახურდია: „გიგა ბოკერია 7 ნოემბერს ამაზრზენი განცხადებებით ცეცხლზე ნავთს ასხამდა, მერე კი რადარებიდან გაქრა“

3 კახა კუკავა: „სააკაშვილს ხელ-ფეხს ბიძინას უკანონობა უხსნის“

„ივანიშვილი ქვეყნიდან ქონების გასატანად ემზადება, მაგიტომაც ითხოვა ერთი წელი“

შორენა მარსაგიშვილი

ნიკა ვარდოშვილი: „საქართველოს მთავარი მტერი ე.წ. ინტელიგენციაა, რომელსაც თავი ხელისუფლების გადმოყრილი ნასუფრალით გააქვს“

„თელავი ერთადერთი ქალაქია, სადაც ვაშაძემ არჩევნები პირველივე ტურში მოიგო“

სად იმალებოდნენ „ოცნების“ ლიდერები სააკაშვილის დროს, ვინ დააფინანსა 7 ნოემბრის აქციის დარბევა, რატომ არ მიდის ამომრჩევლის დიდი ნაწილი არჩევნებზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ნიკა ვარდოშვილი ესაუბრება.

ნიკა ვარდოშვილი:

– ძალიან ბევრი ადამიანი საუბრობს ახლა 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევაზე. ეს მართლა მძიმე დღე იყო და ყველაფერი კარგად მახსოვს. მანამდე ნაციონალური მოძრაობა თუ იყო პოლიტიკური ძალა, 7 ნოემბრის შემდეგ ისინი ხალხის დამრბევ ძალად იქცნენ.

ძალიან ვღიზიანდები, როცა ვხედავ, 7 ნოემბრის დარბევის გამპრავებლები, ახლა უკვე პორტირებული ქოცები, როგორ გმობენ ამ დღეს.

ნაცების წინააღმდეგ აქციების მოწყობას მაშინ ჰქონდა აზრი, როცა ისინი ხელისუფლებაში იყვნენ. ახლა, როცა ისინი ხელისუფლებაში აღარ არიან, მათ წინააღმდეგ აქციის მოწყობა თეატრალური წარმოდგენაა და მეტი არაფერი. ამას აკეთებენ იმიტომ, რომ ხალხის ყურადღება გადაიტანონ და თავისი უნიათობა დაფარონ.

ამ ქოცებს ერთი საინტერესო თვისება აღმოაჩნდათ – სულ განყენებულ თემებზე რომ დაუწყო საუბარი, მაგალითად ასტრონომიაზე, მეხუთე წინადადებაში მაინც ნაცებთან და 9 წელთან მივლენ.

– იმ 9 წლის მანძილზე თავადაც რომ ნაცები იყვნენ, ამას არა უშავს?

– მარტო ნაცების წევრები რომ ყოფილიყვნენ, რა უჭირდა. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ 7 ნოემბრის დარბევის ერთ-ერთი ორგანიზატორი თავად ბიძინა ივანიშვილი იყო.

– ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი გაქვთ?

– ამ დარბევისთვის სპეცრაზმმა პრემიები მიიღო. ეს პრემიები ჯალათებს ივანიშვილმა ჩაურიცხა. მაშინ ბიძინა მიშას მთავარი დამფინანსებელი იყო. ახლა ნაცების ძახილი გახდა მოდური, თორემ ქოცებიდანაც ძალიან ბევრი დასდევდა მაშინდელ ოპოზიციას.

თბილისის მერი კახა კალაძე ახლა ბევრს რომ ლაპარაკობს 7 ნოემბერზე, ამ დარბევის მერე სააკაშვილს ეგ არ დაუდგა გვერდით?! ყველას კარგად ახსოვს, რა განცხადებებს აკეთებდა ის 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

ივანიშვილი და მისი გუნდი ქვეყანას ძალიან ცუდ რამეს უკეთებენ, მაგრამ საქართველოს მთავარი მტერი ე.წ. ინტელიგენციაა, რომელსაც ყველა ხელისუფლება უყრიდა ნასუფრალს. ამ ნასუფრალით იოლად გასული ე.წ. ინტელიგენცია აზიანებს ყველაზე მეტად ჩვენს სახელმწიფოს.

– ეს ე.წ. ინტელიგენცია რომ ამდენის უფლებას აძლევს თავს, ეს ჩვენი, საზოგადოების, ბრალიც ხომ არ არის?

– ეს ჩვენი ბრალიც არის და ყველა იმ ძალისაც, რომელიც ქვეყნის სათავეში იყო. ისინი საპარლამენტო სიებში წერდნენ ამ ცნობად სახეებს, იმ იმედით, რომ მათ უკან ხალხი დგას. შედეგად პარლამენტში ხვდება ისეთი ხალხი, რომელსაც პოლიტიკასთან არანაირი შეხება არა აქვს და იმის აზრზეც კი არ არის, როგორ იმართება სახელმწიფო.

– ცნობად სახეებს საარჩევნო სიებში ოპოზიციაც წერს ხოლმე.

– ოპოზიციაც სცოდავს. სახელმწიფოსთვის არ ვარგა, როცა პარლამენტში ე.წ. სელებრითები სხედან.

– მოდით, ახლა საპრეზიდენტო არჩევნებზეც ვისაუბროთ. ნაცებიც და ქოცებიც საქართველოს მოუწოდებენ, ჩვენს კანდიდატს მიეცით ხმაო. თქვენი პარტიის ლიდერი უკვე გამოთქვამდა ამ ბრძოლიდან. აპირებთ რომელიმე კანდიდატისთვის ხმის მიცემას?

– არჩევნებზე საერთოდ არ ვაპირებ წასვლას. არ მივდივარ იმიტომ, რომ არჩევანის საშუალება არ მაქვს. მე ვარ შალვა ნათელაშვილის თანამებრძოლი, ის პირველ ტურში ჩამოშორდა ამ ბრძოლას. და რაკი შალვა აღარ მონაწილეობს, ამიტომ რომელიმე სხვა კანდიდატს ხმას ნამდვილად ვერ მივცემ. ვერც სალომე ზურაბიშვილზე და ვერც გრიგოლ ვაშაძეზე ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ.

– ამომრჩევლის ძალიან დიდ ნაწილს არც ერთი კანდიდატისთვის არ უნდა ხმის მიცემა. ამ ხალხმა რა უნდა ქნას?

– ამ შემთხვევაში რჩევის მიცემას ვერ შევძლებ. აქამდე სულ მიმაჩნდა, რომ ადამიანები აუცილებლად უნდა წავიდნენ არჩევნებზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი არჩევანი უბრალოდ არ არსებობს. ადამიანებს არც ქოცები უნდათ და არც – ნაცები, მეორე ტურში მათი კანდიდატები გავიდნენ, გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ისევ სახლში დარჩება.

– „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი არსად ჩანს. ეს ეჭვებს აჩენს. საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ „ოცნება“ პრეზიდენტის თანამდებობას ნაციონალებს უთმობს. ამაზე რას ფიქრობთ?

– ამათგან არაფერი გამორიცხული არ არის. ქოცებმა მართლა საგულდაგულოდ დამალეს თავიანთი კანდიდატი. ჩემი აზრით, ეს არის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელიც ივანიშვილმა ამ წლების მანძილზე მიიღო.

– საპრეზიდენტო კანდიდატის გადამალვა რატომ მიგაჩნიათ გამართლებულად?

– მე სალომეს გადამალვა მიმაჩნია გამართლებულად. ეს ქალი რამდენჯერაც კამერების წინ მოხვდა, იმდენჯერ არნახული სისულელეები თქვა. ეს ქალი პირველი ტურის წინ რომ გადაემალათ, უფრო მეტ ხმას აიღებდნენ.

„ოცნებას“ არჩევნებისთვის რეიტინგი ივანიშვილის ორმა საარჩევნო გამოსვლამ დაუგდო. ახლა გამოვიდა და გვეხვეწება, ერთი წელი კიდევ ვაცალოთ. რაც 6 წლის განმავლობაში ვერ შეასრულა დაპირებები, 1 წელში აპირებს ამის გაკეთებას.

1 წელში ვერაფერსაც ვერ შეასრულებს და არც აპირებს რამის გაკეთებას. ის ერთწლიან ვადას სულ სხვა მიზეზით ითხოვს.

– რა მიზეზით?

– ქონება უნდა გაიტანოს.

– რა ქონება?

– რაც საქართველოში აქვს. საყდრისი ტყუილად ხომ არ ააფეთქა? იქედან ოქროს მთლიანად ამოიღებს და მერე წავა საქართველოდან.

მას სალომე და ქოცები საერთოდ აღარ აინტერესებს, მას 1 წელი პირადი სარგებლის მისაღებად სჭირდება. წინაღმდეგ შემთხვევაში ადამიანმა როგორ უნდა თქვა, რომ რაც 6 წელში ვერ გავაკეთე, 1 წელში გავაკეთებო.

მისი პირადი ზრახვები საქართველოს ინტერესებს არ ემთხვევა. ამიტომ ის, რაც შეიძლება მალე უნდა მოსცილდეს ხელისუფლებას.

– და ნაცები უნდა მოვიდნენ?

– ნაცები რატომ უნდა მოვიდნენ. საქართველოს ორივე ძალა უნდა მოსცილდეს. ამ არჩევნებზე ლეიბორისტულმა პარტიამ ის ვერ შეძელით, რომ ჩვენი ამომრჩეველი უბნებამდე მიგვეყვანა. ასეთი პრობლემა შეექმნა სხვა ოპოზიციურ ძალებსაც. ამაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მედიამაც.

– მედია რა შუაშია?

– მთელი ეს პერიოდი მედიით გვესმოდა მოწოდებები, რომ შალვა ნათელაშვილისთვის მიცემული ხმა მაინც დაკარგულია და ჯობია, სხვას მისცეთ ხმა. ხალხი ნიჰილიზმში ჩავარდა. ამ ჯობიათი სადამდე მივედით, ყველანი ვხედავთ – ნაცებსა და ქოცებს შორის გვიწევს არჩევანის გაკეთება.

ეს გასაკვირიც არ არის, ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელიც მხოლოდ ორ ფერს – თეთრს და შავს – ხედავს.

შუას გაკრეფვა თავიდან ბოლომდე ბიძინა ივანიშვილის ნარატივია. ამ კაცმა პოლიტიკაში მოსვლის პირველი დღიდან დაიწყო ამაზე ზრუნვა. მან ქართულ პოლიტიკაში ფაქტიურად მხოლოდ ორი ძალა დატოვა – ნაცები და ქოცები. მანვე გამოგვიცხადა, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა ნაციონალური მოძრაობა იქნებოდა.

დიდი მცდელობის მიუხედავად, შუის გაკრეფვა ვერ მოახერხა, რადგან ხალხმა არ მიიღო ივანიშვილის ეს ნარატივი.

– ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის პირველი პერიოდი გაიხსენეთ. გარდა იმისა, რომ შუის გაკრეფვაზე ღალადებდა, თქვენი პარტიის ლიდერის მიმართ გამოხატა განსაკუთრებული აგრესია.

– მარტო აგრესიას ვინ ჩივის, დაუფარავი ზიზღი გამოავლინა. ამ ზიზღს არც ახლა მალავს. მის გამოსვლებს კარგად თუ დააკვირდებით, რუსთავი 2-ის ლანძღვას რომ მორჩება, გადადის შალვა ნათელაშვილზე. მნიშვნელობა არა აქვს, არის თუ არა ამ თემასთან კავშირში ჩვენი ლიდერი.

ლეიბორისტულ პარტიას თვითმმართველობის არჩევნებზე ბარიერის გადალახვა არასდროს უჭირდა. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე პირადად ბიძინა ივანიშვილმა გასცა განკარგულება, რომ თელავში ლეიბორისტულ პარტიას თითო უბანზე თითო ხმა უნდა მიეღო. თელავში ასე გააკეთეს და ველარ მოვხვდი საკრებულოში.

– საკრებულოს მიღმაც კარგად უშლით ხელისუფლებას ნერვებს.

– იმისთვის, რომ ქოცები ვამხილო, არანაირი მანდატი არ მჭირდება.

– თქვენ არჩევნების მეორე ტურს ბოიკოტს უცხადებთ, საინტერესოა, რა განწყობა აქვთ თელავის მცხოვრებლებს.

– თელავი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, სადაც გრიგოლ ვაშაძემ არჩევნების პირველივე ტურში გაიმარჯვა. მან ამომრჩეველთა ხმების 52% მოაგროვა.

– ასე რატომ უყვართ თელაველებს ვაშაძე?

– მაგას ვერ გეტყვით. თელაველებმა ჩვენც კარგად მოგვცეს ხმები. სამი მონსტრის – ნაციონალების, „ოცნების“ და „ევროპული საქართველოს“ ჭიდილში 4,5% მივიღეთ. ეს კარგი შედეგია. აქამდე თუ 1 ძალასთან გვიწევდა ჭიდილი, ახლა 3 კარგად ორგანიზებულ ძალას დავეჭიდეთ. რიგ უბნებზე შალვამ დავით ბაქრაძეზე მეტი ხმაც კი დააგროვა. არადა ბაქრაძემ თელავში არნახული რესურსი დახარჯა.

თელავში „ოცნების“ განსაკუთრებული მარცხი რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. მთავარი მიზეზი ისაა, რომ „ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსად ისეთი კაცი დანიშნეს, რომელიც თელავში მანამდე მხოლოდ სკოლის ექსკურსიიდან იყო ნამყოფი. მხედველობაში მყავს ბენედიქტე გეგეჭკორი, რომელიც კახეთის გუბერნატორის ახლო მეგობარია და მან დაასაქმა კახეთში. ამ ბენედიქტეს ფაქტიურად მთელი კახეთი ვინახავთ.

– კახეთი რატომ ინახავს, ხელფასი არა აქვს?

– აქვს, მაგრამ დამატებით საწვავს ვუხამთ. თელავის ახლოს შალაურია, იქ ვილა ჰქონდა ნაქირავები და იმის ქირასაც ჩვენ ვუხდიდით. ეს ადამიანი დანიშნეს საარჩევნო შტაბის უფროსად და სასტიკადაც წააგეს არჩევნები.

– ბენედიქტემ წააგებინა არჩევნები ზურაბიშვილს?

– ბენომ წააგებინა. კაცი თელავის აზრზე არაა და როგორ უნდა მოეგო თელავში რამე. ეს ბენო კიდევ ცარიელი თავთავივით იყო ჩვენთან. რაკი ჩამოყვანილი იყო, ზემოდან უყურებდა ხალხს და სათანადო შედეგიც მიიღო.

– ამ მარცხის მერე ისევ ეგ დარჩა შტაბის უფროსად?

– ფორმალურად კი. ოღონდ მას არავინ არაფერს აღარ კითხავს.

– მოდით, ისევ ივანიშვილის და ნათელაშვილის ამბავს დავუბრუნეთ. რატომ ვერ იტანს თქვენს ლიდერს ასე ძალიან „ოცნების“ ლიდერი? მზე და მთვარე არც შალვას ამოსდის, მაგრამ მაინც უცნაურია ასეთი გადაკიდება.

– მოვიდა თუ არა პოლიტიკაში, მტრებად გამოგვაცხადა. ამ ადამიანს ისეთი ხალხი უყვარს, ვისი მართვაც შეუძლია. ხალხს კი კომპრომატებით მართავს. შალვას კი ვერანაირი კომპრომატი ვერ მოუძებნა. ამიტომაც გადაემტერა.

– მისი გუნდი სააკაშვილის აღზევებას შალვას აბრალებს.

– 1998 წელს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა დაუთმოო. მარტო ეს სისულელე აქვთ სალაპარაკო. ეს არის სუსის ნარატივი. ამ ნარატივების არავის აღარ სჯერა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გიგა ბოკერია 7 ნოემბერს ამაზრზენი განცხადებებით ცეცხლზე ნავთს ასხამდა, მერე კი რადარებიდან გაქრა“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 7 ნოემბრის მოვლენებს იხსენებს.

– ბატონო კონსტანტინე, საზოგადოება მკვეთრად პოლარიზებულია. ამ საზოგადოების ნაწილი გამოდის და აპროტესტებს იმას, რაც 2007 წლის 7 ნოემბერს მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაიდინა, მეორე ნაწილს კი თითქოს ეს არ ეხება. თქვენ როგორ გაიხსენებთ იმას, რაც მაშინ მოხდა?

– თავისთავად ცხადია, რომ 7 ნოემბრის მოვლენები იყო მაშინდელი ხელისუფლების უგუნური და სრულიად გაუაზრებელი ნაბიჯი. მაშინ ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა, თუ რა ჩაიდინა. ეჭვი მაქვს, ბევრს დღესაც არ აქვს გააზრებული.

მე მაინც მგონია და, როგორც ჩანს, ეს იყო მაინც რუსული სპეცსამსახურების გრანდიოზული პროექტი, რომელიც საბოლოო ჯამში მასობრივ სისხლისღვრასა და სამოქალაქო დაპირისპირებაში უნდა გადაზრდილიყო. ეს იქნებოდა ქართული სახელმწიფოს საბოლოო დანგრევა, რასაც საქართველოს შემდეგი დეზინტეგრაცია მოჰყვებოდა გარდაუვლად.

– და თუ ეს რუსეთის პროექტი იყო, ხელისუფლება სად იყო ამ დროს?

– რუსეთის ეს გეგმა ჩაშალა ხელისუფლების საღმა ნაწილმა, ოპოზიციის საღმა ნაწილმა და საპატრიარქოს ბრძნულმა და პირადად პატრიარქის ბრძნულმა პოზიციამ. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და პირადად ელჩ ჯონ ტეფტის განსაკუთრებული წვლილი. პირადად ტეფტის დაუღალავი შრომა განსაკუთრებით უნდა გამოვყო.

ასევე უნდა გავიხსენო პოლონეთის აწ განსვენებული პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, რომლის პირადი მეცადინეობით ჩაიშალა ეს რუსული გეგმა.

ეს არის ჩემი შეფასება მაშინდელი მოვლენების და დღეს ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. ეს არ არის ჰაერზე გაკეთებული განცხადება.

– ოპოზიციაში მაშინ იყო ამაზე საუბარი?

– მე მაშინ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი. რუსული სპეცსამსახურების მხრიდან შემოცურებული გეგმა გულისხმობდა იმას, რომ მაშინდელი ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი უნდა დაეპატიმრებინათ. მათ შორის ჩემს დაპატიმრებაზეც იყო საუბარი რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით. ყველასთან მიმართებით ბრალდება იყო რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა. საუბარი იყო ლევან ბერძენიშვილზე, ჩემზე, გოგა ხაინდრავაზე, შალვა ნათელაშვილზე და, სავარაუდოდ, ჩემს ძმაზე, რომელიც იმჟამად მოსკოვში იმყოფებოდა. ეს იყო დაგეგმილი, მაგრამ, ვიმეორებ, ეს გეგმა ჩაიშალა და ძალიან კარგი, რომ ჩაიშალა.

რაზე იყო გათვლა? მაშინ ოპოზიციის ამ ლიდერების დაპატიმრებას უნდა მოჰყოლოდა დიდი არეულობა, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირებაში უნდა გადაზრდილიყო. ეს იყო მიზანი.

ამ დესტრუქციულ ძალებს თავისი დასაყრდენი ჰყავდათ, როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლებაშიც და მაშინდელ ოპოზიციაშიც.

– ვინ იყო ხელისუფლებაში პროცესების გამწვავების წინააღმდეგი?

– მაშინდელი ძალოვანი ბლოკი იყო პროცესების ესკალაციის მომხრე. ძალოვანი ბლოკი იყო ხელისუფლების აქილევსის ქუსლი. ისინი აშკარად ახდენდნენ მიხეილ სააკაშვილზე გავლენას. მე არ ვიცი, ეს რითი იყო განპირობებული, მაგრამ ეს იყო აშკარა. დარწმუნებული ვარ, ადეიშვილიც მომხრე იყო პროცესების გამწვავების.

– ე.ი. რა გამოდის?

– გამოდის ის, რომ ეს ადამიანები ან ვერ აცნობიერებდნენ, თუ ვის თამაშს თამაშობდნენ ან სრულიადაც აცნობიერებდნენ და შეგნებულად მიდიოდნენ ამაზე და მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ჩვენ მაშინ ხალხი უკვე ვერ გამოგვყავდა, ეს აქციები სულს ღაფავდა. მათ გააცოცხლეს აქცია, ამიტომ ყოველგვარ რაციონალიზმს არის მოკლებული მათი გადაწყვეტილება.

– თუ ისინი გეტყვიან, რომ არავითარი რუსული პროექტი არ იყო, ოპოზიცია კი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა, რას უპასუხებთ?

– ოპოზიციის მიზანი ნამდვილად არ იყო სახელმწიფო გადატრიალება და თუ ვინმე გეგმავდა ამას, მე ეს არ ვიცი და ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. თუ ვინმე გეგმავდა, მაშინ ამაზე გააკეთოს მაშინდელმა ხელისუფლებამ განმარტება.

– ეს კითხვაც ჩნდება: თუ ასე იყო, მაშინ სასამართლო განაჩენს წინ რა ედგა?

– რა თქმა უნდა! სრულიად ლოგიკურია, თუ სახელმწიფო გადატრიალება იგეგმებოდა, რატომ არ დადგა განაჩენი! ის სატელეფონო საუბრები, რომლებიც ვითომ გამოგვიქვეყნეს, რეალურად არაფერზე არ მეტყველებდა.

– მაშინდელი ხელისუფლება დღეს ბოდიშს იხდის, მიიღეთ მათი ბოდიში?

– რა თქმა უნდა, ყოველთვის ჯობია, ბოდიში მოიხადონ, ვიდრე არ მოიხადონ. თუმცა, აქვე უნდა ვთქვა, რომ ხელისუფლების ზოგიერთი ნაწილი მაშინაც ეწინააღმდეგებოდა, მხარს არ უჭერდა ამ იდეას.

კონსტანტინე გამსახურდია: „2007 წლის 7 ნოემბერს დიდი რუსული გეგმის განხორციელების მცდელობა იყო“

– ვინ ეწინააღმდეგებოდა?

– მე მაინც ვთვლი, რომ ეს კვალიფიციური გამოძიების საგანია. კულუარული და კულისების ინფორმაციები არაფერს გვარგებს ამ შემთხვევაში.

ერთი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ზოგიერთი ლიდერი, რომელიც დღეს „ევროპულ საქართველოშია“, მხარს უჭერდა დარბევას და არიან ისეთებიც, რომლებიც, პირიქით, ეწინააღმდეგებოდნენ.

– გიგა ბოკერიას პოზიცია იცით, როგორი იყო?

– მე ვფიქრობ, თუმცა დანამდვილებით არ ვიცი, რომ ის დარბევის მომხრე იყო. ისეთი ხისტი გამოსვლები ჰქონდა, რომ მისი დამსახურებაც არის, რომ ამდენი ხალხი გამოვიდა მერე. ის ყოვლად გაუაზრებელ, ყოვლად რადიკალურ და ამაზრზენ განცხადებებს აკეთებდა. თითქოს ცეცხლზე ნავთს ასხამდა. მერე უკვე შეწყვიტა ამ როლის თამაში, კარგა ხანს არც გამოჩენილა, თითქოს რადარებიდან გაქრა.

– რა უნდა გაკეთდეს, რომ ნებისმიერი ხელისუფლება არ აღმოჩნდეს მსგავსი კრიზისის წინაშე, თუ ფიქრობთ, რომ 7 ნოემბერი აღარასოდეს განმეორდება?

– ასეთი კატეგორიულობით ვერაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ არასდროს განმეორდება და ჩვენ სამშვიდობოს გავალთ.

„სააკაშვილს ხელ-ფეხს ბიძინას უკანონობა უხსნის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ დღეს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ ვითარებას. ვისაც არ მოსწონს არც ერთი კანდიდატი, იმან რა უნდა ქნას?

– მე პირადად მგონია, რომ იმან ხმა არ უნდა მისცეს არც ერთს. არ არის სწორი ნაკლები ბოროტების თეორია, რასაც გვთავაზობს ჩვენ ხელისუფლება, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ აღიარეს ის, რასაც 6 წელი არ აღიარებდნენ, რომ უნამუსოები არიან. უბრალოდ, ახლა იმის დამტკიცება უწევთ, ნაცები უფრო უმსგავსოები არიან თუ თვითონ. თვითონ რომ არ არიან პროგრესული ძალა, ამას აღიარებენ. მათი ყველაზე უტიფარი სახეებიც კი, ყოფილი მხედრიონელები რომ ჰყავთ გუნდში, გამოდიან და ამბობენ, ხელისუფლებს კი აქვს შეცდომები, მაგრამ...

– მაგრამ ნაცებზე უკეთესები ვართო?

– დიახ. თუ შეცდომები აქვთ, მთელი 6 წელი რატომ ჰქონდათ პირში წყალი ჩაგუბებული?! უკრძალავდა ვინმე ლაპარაკს თუ რა ხდებოდა? საერთოდ რომ გავაანალიზოთ ჩვენი დამოუკიდებელი 30 წლიანი ისტორია, ეს ნაკლები ბოროტებისთვის ხმის მიცემა არის დიდი შეცდომა და ერთ წუმპეში გვიწევს ბანაობა.

– რას გულისხმობთ?

– შევარდნაძე-ჯაბა, მერე შევარდნაძე-ასლანი, მერე მიშა, მერე მიშა-ბიძინა და სულ ვართ რომელიღაცა ბანდიტის მხარეს იმის გამო, რომ მეორე უარეს ბანდიტს მოვუგოთ. მე მგონია, რომ არ უნდა დავდგეთ ჩვენ არც ერთი ბანდიტის მხარეზე. ჩვენ, „თავისუფალი საქართველო“ შეეცდებით, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის უკეთ მოვემზადოთ და შევძლოთ, ამ ორი კრიმინალისგან განყენებული არჩევანი შევთავაზოთ ჩვენს საზოგადოებას.

– ამ არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე ეს რამდენად გამოგივათ?

– ჩვენთვის ეს იყო მძიმე არჩევნები. ბევრი რამე დავინახეთ, ჩვენი შეცდომებიც დავინახეთ, ცუდი მხარეებიც დავინახეთ. ჩვენ გამოსავალი თუ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში რაღაცა შეიცვალოს, არის ის, რომ ნაკლებ ბოროტებას კი არა,

კახა კუკავა: „ოცნება“ ნაციონალებს ძალაუფლებას თავადვე გადაულოცავს“

პროგრესზე ორიენტირებულ ძალას მივცეთ ხმა.

ყველა, ვინც წავა არჩევნებზე და ხმას მისცემს „ოცნებას“ იმის გამო, რომ არის ნაკლები ბოროტება, ის ეგუება იმას, რომ შეიძლება მისი შვილი ციხეში არ გააუპატიურონ, მაგრამ ნარკოტიკს ჩაუდებენ ჯიბეში. შეიძლება აქვე ქუჩაში არ სცემონ, მაგრამ სამსახურიდან უკანონოდ გააგდებენ. აი, ეგ არის ნაკლები ბოროტება. „ოცნებისთვის“ ხმის მიცემა ნიშნავს იმას, რომ ჩვენს შვილებს ვწირავთ იმისთვის, რომ იცხოვრონ არშემდგარ სახელმწიფოში.

– ივანიშვილის გამოსვლა მოვისმინეთ, ვნახეთ, რომ მთლიანად შეცვალა „ოცნებამ“ რიტორიკა, ერთ წელს ითხოვენ შეცდომების გამოსასწორებლად. რა ხდება, რამდენად შეეშინდათ მათ ხალხის რეაქციის?

– დიახ, ძალიან სწორი კონტექსტია, სწორედ რომ შეეშინდათ. კი არ დაინახეს შეცდომები და გააანალიზეს, უბრალოდ შეეშინდათ, თორემ ივანიშვილს არ დაუსახელებია არც ერთი კონკრეტული შეცდომა, რომლის გამოსწორებასაც აპირებს. ივანიშვილს არ გადაუყენებია არც ერთი კონკრეტული თანამდებობის პირი. უბრალოდ შეეშინდათ და ტონალობა შეცვალეს.

შეცდომებს რომ მიმხვდარიყვნენ, კალაძე და კობახიძე კი არ იქნებოდნენ დღეს შტაბის ხელმძღვანელები. დღეს კალაძეც და კობახიძეც უნდა იყვნენ უკვე გადაყენებულები. ასევე თალაკვაძეც და მდინარაძეც და ყველა, ვინც არის მაგათ გუნდში.

– თავიდან აქტიურად დაიწყეს საუბარი, რომ წავიდოდა სერიოზული ცვლილებები, თუმცა დღეს ამას აღარ ადასტურებენ.

– რა თქმა უნდა, არ წავლენ. როდესაც ავადმყოფობა რაღაც კონდიციამდე მიაღწევს, იქ საჭიროა ქირურგიული ჩარევა. რაც არ უნდა ენის მოჩლექით ელაპარაკონ საზოგადოებას, „ოცნების“ რეიტინგი ვეღარ აიწევს. შალვა რამიშვილის და ლაშა ნაცვლიშვილის გაკეთებული პიარი შავი პიარია და ეს ბიძინამ კარგად უნდა იცოდეს. მათ აღარაფერი უშველით. უბრალოდ, ახლა მასზეა დამოკიდებული, ნებით დათმობს ხელისუფლებას თუ ძალით დაათმობინებენ.

– როდესაც საუბრობთ, რომ ხალხმა ხმა არ უნდა მისცეს არც „ოცნებას“ და არც ნაციონალებს, რა უნდა გააკეთონ?

– სახლში უნდა დარჩნენ, არც ერთი და არც მეორე!

– აბა ისევ მარგველაშვილი დავტოვოთ?

– კი, გასაგებია, რომ მარგველაშვილს ვერ დავტოვებთ და ერთ-ერთი აუცილებლად გახდება პრეზიდენტი, უბრალოდ, ხალხმა მათ მაღალი ლეგიტიმაცია არ უნდა მისცეს. სერიოზული სამზადისი უნდა დაიწყოს საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომ სულ სხვა რეალობის წინაშე დავდგეთ 2020 წლისთვის.

– ერთ წელს ითხოვს ივანიშვილი სიტუაციის გამოსასწორებლად. რა უნდა გააკეთოს, რომ ამომრჩევლის გული მოიგოს?

– ამ ყველაფერს, რაც გამოსასწორებელია, ძალიან მცირე დრო ეყოფა. პირველ რიგში კონსტიტუცია უნდა შეცვალოს, გადმოგვცეს ის ოპოზიციას და დაიწეროს ისე, როგორც თავდაპირველი ვერსია იყო და როგორიც ვენეციის კომისიამაც მოიწონა. სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს პროკურატურა, იუსტიციის საბჭო, ნაციონალური მოძრაობის სახეები რომ მართავენ

სწორედ ასე იყო შევარდნაძის დროსაც. იხვეწებოდა მიშა, მეორე ადგილი დაგვიწერეთ და თანახმა ვართო, მაგრამ იღორა მოქალაქეთა კავშირმა, ვერ გაიმეტა 20% და შემდეგ რაც მოხდა, ვნახეთ – მიშა 80%-ით მოვიდა

ყველაფერს. არჩევნები უნდა ჩატარდეს პროპორციული და არა – მაჟორიტარული წესით. თუ არაფერი შეიცვალა, მაშინ, ცხადია, „ოცნებას“ ნაციონალები ჩაანაცვლებენ.

– როდესაც ნაციონალების და რეჟიმის მობრუნებაზე საუბრობენ, ეს რეალობაა თუ ამომრჩევლის შესაშინებლად სჭირდებათ?

– სამწუხაროდ, რეალობაა. „ოცნება“ რომ დემოკრატიულად მართავდეს ქვეყანას, ცხადია, ნაცებს ამის შანსი არ ექნებოდათ. დღეს ჩვენ ვართ იმ რეალობის წინაშე, რომ ძალიან ბევრმა ამომრჩეველმა ვაშაძეს ხმა „ოცნების“ ჯიბრზე მისცა. სწორედ ბიძინას უკანონობა უხსნის ხელ-ფეხს მიხეილ სააკაშვილს, თორემ ხალხი ნამდვილად არ ოცნებობს მიშას დაბრუნებაზე.

სწორედ ასე იყო შევარდნაძის დროსაც. იხვეწებოდა მიშა, მეორე ადგილი დაგვიწერეთ და თანახმა ვართო, მაგრამ იღორა მოქალაქეთა კავშირმა, ვერ გაიმეტა 20% და შემდეგ რაც მოხდა, ვნახეთ – მიშა 80%-ით მოვიდა.

სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს ყოველივე ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, თუ არადა, ეს ყველაფერი ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს. გამოვა ისე, რომ ხელისუფლებას თავადვე გადაულოცავენ.

რუსეთი ქართული მიწების ოკუპაციას აგრძელებს

საქართველო პროცესს მშვიდად აკვირდება

შორენა მარსაგიშვილი

რუსი ოკუპანტები ქართული მიწების მითვისებას განაგრძობენ. სოციალისტური რევოლუციის 101-ე წლისთავი ქარელის რაიონის სოფელ ატოცთან მავთულხლართების გავლებით აღნიშნეს.

საარჩევნო ციებ-ცხელებით შეპყრობილმა ქართველმა პოლიტიკოსებმა ოკუპაციის მორიგი ტალღისთვის ვერ მოიცალეს. მოსკოვის ქმედება მხოლოდ ქეთევან ციხელაშვილმა დაგმო.

რუსებს საქციელი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საქართველოს საკითხების მონიტორინგის თანამომხსენებელმა კერსტინ ლუნდგრენმაც დაუგმო. მისი თქმით, რასაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე აკეთებს, ეს მიუღებელია.

– ჩვენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ვუჭერთ. ოკუპაცია გრძელდება და ახალი მავთულხლართების დაყენება ქართველ ხალხს ჰყოფს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს მიუღებელია. ჩვენ ამას ვგმობთ. ეს ცხადყოფს იმას, თუ როგორ უშვებს რუსეთის ხელისუფლება ბორდერიზაციას, ხელოვნური ბარიერების აგებას ქართველ ხალხს შორის. ჩვენ, როგორც მომხსენებლები, გადავცემთ ამას ევროპის საბჭოში. შვედეთში როდესაც დავბრუნდები, ხალხს გავაგებინებ, თუ რა ხდება, ვინაიდან ვფიქრობ, რომ საჭიროა იცოდნენ, რა ხდება. ის, რაც საქართველოში ხდება, არ უნდა ხდებოდეს, – განაცხადა კერსტინ ლუნდგრენმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი სოფელ ატოცში ჩავიდა, სადაც ადგილობრივებს და მედიას განუცხადა, რომ საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან მავთულხლართების მონტაჟი მიმდინარეობს.

მინისტრის განცხადებით, რუსეთის მხარე სამხედრო გეტოს შემოსაზღვრას ცდილობს. ამბობს, რომ მიმდინარეობს ცხინვალის რეგიონის იზოლაციაში მოქცევის პროცესი.

– რუსები დაცარიელებული ცხინვალის რეგიონის იზოლაციას აკეთებენ და იქ დარჩენილებისთვის გაუსაძლის პირობებს ქმნიან. რუსი სამხედროების მიერ ამ არარსებული საზღვრის გადაკვეთისას დაკავებული ადამიანების თითქმის 90% არიან სწორედ ისინი, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და გადაადგილება სჭირდებათ. ეს არის ყველასთვის მიუღებელი და გაუსაძლისი მდგომარეობა, – აღნიშნა ციხელაშვილმა.

ის არ გამორიცხავს, რომ რუსეთის ქმედება საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდეს.

– საქართველოში წინასაარჩევნო გარემოა და როგორც ჩანს, უნდათ ხელისუფლებასა და მოსახლეობაზე დამატებითი ზეწოლის ბერკეტი გამოიყენონ.

ზუსტად ამიტომ, ჩვენ უნდა ვიყოთ განსაკუთრებით მტკიცე და ძლიერი, არ მივცეთ ამ პროვოკაციებს იმის ნება, რომ თავის მიზანს მიაღწიოს. ჩვენ აუცილებლად სტაბილურად უნდა განვვითარდეთ, – ამბობს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი.

ალექსანდრე ბარამიძე: „პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს მხარს არ დავუჭერ“

„პოლიტიკაში წასვლას არ გამოვრიცხავ, დეტალებზე ახლო მომავალში ვისაუბრებ“

იაგო ნაცვლიშვილი

ბიძინა ივანიშვილმა ძველ თანამებრძოლებს მოუწოდა, რომ გუნდს კიდევ ერთხელ დაუდგნენ მხარში. ერთ-ერთი პირველი, ვინც „ქართულ ოცნებას“ 2011-12 წლებში შეუერთდა, იურისტი ალექსანდრე ბარამიძე იყო, რომელიც ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხზე სასამართლოში მისი ინტერესების ერთ-ერთი დამცველიც იყო.

აპირებს თუ არა „ქართული ოცნების“ გუნდში დაბრუნებას და რა პრეტენზიები აქვს ხელისუფლების მიმართ? ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე საუბრობს.

– ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა განცხადება და „ძველ გვარდიელებს“ დახმარებისკენ უხმო. თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც ივანიშვილის გუნდში მივიდა. ხომ არ მიგიღიათ პირადად თქვენ შემოთავაზება ან თუ დათანხმდებით?

– არა, ასეთი წინადადება არ ყოფილა და რომც ყოფილიყო, მე არ მივიღებდი. მე არ ვაპირებ დაბრუნებას.

– რატომ? პრინციპული უთანხმოება არსებობს თქვენსა და „ქართული ოცნების“ გუნდს შორის?

– რასაკვირველია, პრინციპული უთანხმოება არსებობს ჩვენ შორის.

– რამ გამოიწვია თქვენი მთავარი უკმაყოფილება „ქართული ოცნების“ მუშაობაში?

– ძალიან ბევრი ფაქტორია. მათ შორის სამართალდამცავ სისტემასა და მართლმსაჯულების სისტემაში რაც ხდება. ეს არ ყოფილა ჩემი მიზანი და ამოცანა. ეს არ ყოფილა ის იდეალი, რაც დეკლარირებული იყო 2012 წელს. ეს არის ყველაზე მთავარი. მე იურისტი ვარ და მე, როგორც იურისტი, ყველაზე მეტად ამას არ ვღებულობ.

– ანუ თქვენ გინდოდათ სამართალდამცავი სისტემის დეპოლიტიზირება და ეს ნაბიჯები ვერ დაინახეთ?

„სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სისტემის კულუარებიდან მართვა ჩემთვის მიუღებელი იყო“

– მე ვცდილობდი, რომ ეს გამეკეთებინა იმ დარგში, რაზეც ვმუშაობდი, ეს იყო საკანონმდებლო რეფორმა. ვცდილობდი, რომ შეცვლილიყო კანონმდებლობა, მაგრამ კანონმდებლობის შეცვლა საკმარისი არ არის. იმიტომ, რომ მიდგომები უნდა შეცვალო. მიდგომები არ შეცვლილა.

– მიდგომების შეცვლაში რას გულისხმობთ?

– მაგალითად იმას, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა კულუარულად მართავდა მართლმსაჯულების სისტემას და სამართალდამცავ სისტემას. ეს ჩემთვის მიუღებელია.

– ამ საკითხზე რამე კონკრეტულ ინფორმაციას ფლობთ თუ რაზე დაყრდნობით აცხადებთ ამას?

– კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ ის, რაც თვალსაჩინოა, ეს ჩემთვისაც თვალსაჩინოა.

– ანუ იმას გულისხმობთ, რომ სასამართლო სისტემაში მოხდა ძველი მოსამართლეების დაწინაურება – მურუსიძე, ჩინჩალაძე და ა. შ?

– ბუნებრივია, ამ კლანს ვგულისხმობ და იქ, ასევე პროკურატურის სისტემაშიც, როგორც ეს გამოირკვა. რაც სარალიძის საქმემ აჩვენა. აბსოლუტურად ძველი მიდგომებია იმ თვალსაზრისით, რომ საკმარისია პროკურატურის რომელიმე თანამშრომელმა მოისურვოს, თავისი ოჯახის წევრები, ახლობლები განარიდოს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, იმას ადვილად აღწევს. ეს ნათლად აჩვენა სარალიძის მაგალითმა.

– როდესაც იყავით ხელისუფლებაში, პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ამ თემაზე არ გქონიათ საუბარი?

– მე პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ასეთი კონტაქტი არ მქონია. საკუთარ აზრს გამოვთქვამდი ყველგან, სადაც საკუთარი აზრის გამოთქმა შესაძლებელი იყო. სადამდეც საკანონმდებლო რეფორმაზე მუშაობა შეიძლებოდა და სადამდეც გავწვდი, იქამდე ვიმუშავე. როდესაც დავინახე, რომ ეს ყველაფერი უკვე ფუჭი იყო, მაშინ ავდექი და წამოვედი. იქ დაბრუნებას ნამდვილად არ ვაპირებ.

– ამ თემებზე საუბარი თეა წულუკიანთანაც არ გქონიათ?

– თეა წულუკიანთან რაზე მქონდა საუბარი და რაზე არ მქონდა, ამაზე განცხადებების კეთებისგან თავს შევიკავებ. მე მისი მოადგილე ვიყავი და რაღაც საუბრები, ცხადია, მქონდა. თუმცა, დეტალებზე არ ვისაუბრებ.

– თქვენსა და თეა წულუკიანს შორისაც იყო აზრთა სხვადასხვაობა?

– ამ კითხვაზე მე უკვე გიპასუხეთ და დეტალებზე საუბარს არ ვაპირებ.

– ალბათ გეგმავთ, რომ გააგრძელოთ მოღვაწეობა პოლიტიკურ-სამართლებრივ სფეროში. რა გეგმები გაქვთ?

– ცხადია, ამ სფეროში გავაგრძელებ მოღვაწეობას. გარკვეული ცოდნა და გამოცდილება მაქვს ამ სფეროში. მყავს უამრავი მეგობარი. ასე რომ, მეგობრებთან ერთად ვიმუშავებ სამართლებრივ საკითხებზეც და არ გამოვრიცხავ პოლიტიკაში წასვლასაც.

– პოლიტიკაში ვისთან წარმოგიდგენიათ თანამშრომლობა?

– ახლა ამაზე საუბარი ნაადრევია. უახლოეს მომავალში ამაზე ვისაუბრებ.

– საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში არც ერთ კანდიდატს არ უჭერთ მხარს.

– დიახ, ეს არის ჩემი შეგნებული პოზიცია. ჩემთვის მიუღებელია როგორც ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, ისე „ქართული ოცნების“ კანდიდატი. ამის შესახებ სოციალურ ქსელში ჩემი პოსტის საშუალებით ძალიან ცხადად დავწერე. აქედან გამომდინარე, მე ვაპირებ არჩევნებზე წასვლას და არჩევანის გაკეთებას იმაზე, რომ არც ერთ კანდიდატზე არ გავაკეთო არჩევანი. მე არ გავურბივარ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, მე არ ვაპირებ სახლში დარჩენას და აქტიური არჩევანი ის არის, რომ ხმა არ მივცე არც ერთ კანდიდატს.

– თქვენი პოზიციებიდან გამომდინარე ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ, მაგალითად, ითანამშრომლებთ დავით უსუფაშვილთან? ის და მისი პოლიტიკური გუნდიც არც ერთ კანდიდატს უჭერს მხარს.

– კონკრეტულად არაფერზე არ ვილაპარაკებ. მე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. თავის დროზე ყველაფერს ვიტყვი.

სოსო ჯაჭვლიანი: „კი, ცოცხები აღარ არის, მაგრამ პროგრესიც ხომ გვინდა?!“

„ჩემს წილ პასუხისმგებლობას მე ჩემს თავზე ავიღებ“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ ძველ სახეებს მოუწოდა, კიდევ ერთხელ დაუდგნენ ქვეყანას გვერდით და წყენა გვერდით გადადონ. იღებს თუ არა მოწოდებას და რას ფიქრობს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ წინა მოწვევის პარლამენტარ სოსო ჯაჭვლიანს ესაუბრა:

– ბიძინა ივანიშვილმა „ოცნების“ ძველ გვარდიელებს მოგიწოდათ გუნდში დაბრუნება და ქვეყნის სამსახურში ჩადგომა. თუ გქონდათ პირადად თქვენ შემოთავაზება, ან თუ აპირებთ შემოთავაზების მიღებას?

– ახლა რაც ხდება ქვეყანაში, ხომ უყურებთ? ახლა როგორი რაღაცაა, იცით? რომ მესმის „ძველ გვარდიელებს“ მოუწოდა, სულ მგონია, რომ იქით ზვიადაური, 300 არაგველი, აბჯრები და შუბები და რაღაცაა. ჩვენ იცით, რაზე უნდა გავერთიანდეთ?

– რაზე?

– გახსოვთ ცნობილი ტელეკადრები, როცა 2012 წლამდე ჟურნალისტები ადამიანებს ეკითხებოდნენ, რომ სააკაშვილის და მთავრობის ერთი ნაკლი გვითხარითო. ეს ადამიანები კი შეშინებულები და თავდახრილები იყვნენ და პასუხს ვერავინ იღებდა. ახლა რომ გავიდეთ ქუჩაში და ადამიანებს რომ ჰკითხო, ამ მთავრობის ნაკლი გვითხარიო, ივანიშვილის გინებით იწყებენ და ალბათ ჯაჭვლიანით ამთავრებენ. ეს უკვე კარგია.

ჩვენ უნდა ავარჩიოთ, რომელი გზა გვინდა. გახსოვთ, ჯაჭვებით რომ წამოვედით მე, ლუკა კურტანიძე... მაშინ ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვეს. ეს იყო სიმბოლური აქტი. თქვენ წარმოიდგინეთ, 5-10 კაცი ვერ ვნახეთ, ყველა ისე შეშინებული იყო. ხმას ვერავინ იღებდა.

ახლა მეორე ტურში ეს ყველაფერი უნდა გავიაზროთ, დღევანდელი დღე, 7 ნოემბრის მოვლენები, 26 მაისი, ახალგაზრდები რომ ჩახოცეს და ყველა ეს დღეები უნდა გავიხსენოთ, რომელი ერთი გავიხსენო. ეს უნდა გავაკეთოთ საღად, ყოველგვარი დაძალების გარეშე. უნდა ავუხსნათ. ეს ღირებულებები უნდა დავიცვათ, მაგრამ რაც „ქართულმა ოცნებამ“ დაა შავა, კაბიტაცია იქნება თუ ის, რომ სამართლიანობა არ აღდგა, ქონება არ დაბრუნდა... უამრავი გაჭირვებული და გაუბედურებულია. ძველი 2012-იანელები ყველა ერთად მოვთხოვთ ამის შესრულებას „ქართულ ოცნებას“. თუ ისე არ მოიქცევიან და ისე არ მოვიქცევით, რასაც ხალხი ითხოვს, გაათმაგებული უკურეაქცია მოყვება.

– იღებთ ამაზე პასუხისმგებლობას?

– ჩემს წილ პასუხისმგებლობას მე ჩემს თავზე ავიღებ.

გახსოვთ, პარლამენტში როცა ვიყავი, საკმაოდ აქტიური ვიყავი და პირველივე დღეებიდანვე დაიწყო კაბიტაცია, როცა ბარამიძე ავირჩიეთ ვიცე-სპიკერად. მაშინ მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. მერე მოჰყვა დაპირისპირებები და რაღაცები. ამათთან კაბიტაციაში არასოდეს არ შევსულვარ და არც შევალ. დამნაშავე უნდა დაისაჯოს. 2 არჩევანი გვაქვს. როგორი ნაგლი უნდა იყო, სალომე ზურაბიშვილს რუსული პროექტი ეძახოს ადამიანმა, რომელიც მთელი ცხოვრება რუსეთში მუშაობდა და კაგებეს ნომენკლატურა იყო.

– „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული ხომ არ იყავით?

– განაწყენებული კი არა, გაბრაზებული ვარ, რომ პროცესები ასე წავიდა. სულ ვიძახდი ამას. ერთი შეხვედრა არ ჩატარებულა ისე, რომ ეს არ მეთქვა. ამ შეხვედრებს ბატონი ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა ხოლმე. ირგვლივ ვინც მყავდა თანამებრძოლები, რომლებმაც თავი გაწირეს, მცოდნეებიც იყვნენ, ავტორიტეტიც ჰქონდათ ხალხში და იმიტომ მოვიდნენ, ისინი ყველა მიივიწყეს. იმიტომ კი არ ვამბობ ამას, რომ ის გააგდე და ისინი მოიყვანეთ-მეთქი.

თან კონკურსები ტარდებოდა. 100 ბალიან სისტემაში ადამიანი 98 და 99 ქულას რომ აიღებს და მერე შენ 90 ქულიანს დანიშნავ რაღაც პოზიციაზე, რა თქმა უნდა, ამ შედეგს მოიტანს. გაბრაზებული ვარ და სულ ამ საკითხებზე მქონდა საუბარი.

ჩემი ოჯახის არც ერთი წევრი არ დამისაქმებია. ღმერთმა დამიფაროს. ჩემი შვილები ერთი არქიტექტორია, მეორე პრაღის უნივერსიტეტში სწავლობს. ერთი მიმტანად მუშაობს და მეორე მუშად მუშაობდა ვალერი გელაშვილთან. ამაზე არ მილაპარაკია. რატომ არ უნდა ვილაპარაკო, როცა ლაფს მასხამენ?! ყველა ჟურნალისტს ვეპატიჟები ჩემთან სახლში. სად ვცხოვრობ, რა მქონდა, როგორ მქონდა და ახლა რა მაქვს.

– ვინ გასხამთ ლაფს?

– ტელევიზიები, რომლებიც ანტირეკლამას მიკეთებენ, მაგრამ ის პირიქით მუშაობს. ადამიანებმა ყველაფერი იციან. ყველამ იცის მე ვინ ვარ.

– ახსენეთ წინა ხელისუფლების მმართველობა. ყველამ იცის, რაც ხდებოდა მართლმსაჯულების სისტემაში. როცა მურუსიძის და ჩინჩალაძის დაწინაურება ხდება, ვხედავთ, რაც ხდება იუსტიციის საბჭოში, ეს კითხვებს არ გიჩენთ?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

კრემლმა ოკუპირებულ აფხაზეთში ახალგაზრდობის მობილიზება დაიწყო

მარიამ მჭედლიშვილი

სოხუმში 6 ნოემბრიდან მუშაობა დაიწყო „ახალგაზრდა ლიდერთა სკოლამ“. ოფიციალურად, სკოლა რუსეთის მეცნიერებისა და კულტურის ცენტრის საგანმანათლებლო პროექტია.

სხვაგან მსგავსი სკოლის დაარსება ჩვეულებრივი ამბავია. ოკუპირებულ რეგიონში და ამ შექმნილ რეალობაში ეს სხვა დატვირთვას იღებს.

ცოტა ხნის წინ სრულიად აფხაზეთის ახალგაზრდებმა შეკრებაზე გადადგომისაკენ მოუწოდეს დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას. ამ ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს „აფხაზეთის ახალგაზრდობის ფორუმი“.

ამ მოთხოვნაშიც არაფერი იქნებოდა განსაკუთრებული, რომ არა ინალ არძინბას ფაქტორი. პუტინის ადმინისტრაციაში დაწინაურებული ახალგაზრდა ინალ არძინბა ბოლო დროს დანიშნეს ასევე რუსეთის პატრიარქ კირილთან შექმნილი ახალგაზრდულ საქმეთა კონფესიათაშორისი საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს მიზანია ახალგაზრდებს შორის კონტაქტების გაღრმავება, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო პროექტების განხორციელება.

ინალ არძინბა, რომელსაც მოიაზრებენ ხაჯიმბას პოტენციურ შემცვლელად და რუსეთის ინტერესების უპირობო გამტარებლად, აგვისტოში სოხუმში თანატოლ თანამემამულეებს შეხვდა. მან ახალგაზრდა დიპლომატებს, ეკონომისტებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებს გააქტიურებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ახალგაზრდობა უნდა გაერთიანდეს, შექმნას დარგობრივი ასოციაციები და შეიკრას თავისი ინტერესების დასაცავად. ახალგაზრდები შეეხნენ აფხაზეთისათვის ისეთ უმტკივნეულეს პრობლემებს, როგორებიცაა ნარკომანია და ავტოსაგზაო შემთხვევების სიმრავლე.

ახალგაზრდობის მობილიზება, რომელიც უკავშირდება ინალ არძინბას და კრემლს, ხდება აფხაზეთში არსებული უკმაყოფილების, რუსეთის მიმართ განწბილების ფონზე. აფხაზეთში არიან ახლო აღმოსავლეთიდან დაბრუნებული რეპატრიანტები. ისინი თავისთავად იწვევენ რუსეთის იმპერიის მიერ მოწყობილი მუჰაჯირობის ასოციაციებს. იმედგაცრუებული მოსახლეობა სულ უფრო მეტად ადანაშაულებს 25 წლის წინანდელ ომში რუსეთისა და საქართველოს მაშინდელ ლიდერებს და არა – ქართველ ხალხს.

როგორც ჩანს, ამან გამოიწვია რუსეთის ხელისუფლების საპასუხო ნაბიჯები – გუდაუთაში რუსეთის დახმარებით გარემონტდა ომის მუზეუმი, რომელსაც რეგიონში „ქართულ-აფხაზური ომის მუზეუმი“ შეარქვეს. ასევე იგეგმება აფხაზეთის ხელისუფლებაში ისეთი კაცის მოყვანა, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის მოქალაქეებისათვის უძრავი ქონებისა და მიწების მიყიდვის დაკანონებას. ხაჯინბამ ეს დავალება ვერ შეასრულა.

ინალ არძინბა უკრაინის ხელისუფლებისათვის ისეთივე მიუღებელი ფიგურაა, როგორიც საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ორივე მათგანს ბრალად ედება უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების შელახვა.

ინალ არძინბას უკრაინა ოდესის ოლქში „ბესარაბიის“ პროექტის განხორციელების მცდელობის ბრალდებას უყენებს. კრემლს მისი მონაწილეობით ჩაფიქრებული ჰქონდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მუშაობა, ფაქტობრივად, ტერიტორიის ჩამოჭრა და ისტორიული ბესარაბიის გუბერნიის ადგილზე ახალი ფორმირების შექმნის მცდელობა.

აყალიბებს თუ არა უკვე არძინბა თავის გუნდს ოკუპირებულ აფხაზეთში, უცნობია. ფაქტია, რომ ის რჩევა-დარიგებას აძლევს ადგილობრივ ახალგაზრდობას.

„ლიდერთა სკოლა“ პირდაპირ არძინბას სახელს არ უკავშირდება, მაგრამ ინალ არძინბა უკვე აკონტროლებს აფხაზეთის ახალგაზრდობას. სკოლა მოამზადებს სპეციალისტებს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, საკომუნიკაციო და ფილოსოფია-პოლიტოლოგიის სფეროებში.

კურსდამთავრებულები მიიღებენ დამატებითი განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატებს.

„სამჯერ მოხდა ჩემი დახვრეტის ინსცენირება“

გულიკო ბალაძე

გოჩა ფიფია: „ნაციონალების დაბრუნებას არ დავუშვებთ“

პარლამენტის ყოფილი წევრი, კომპანია „ზეარის“ დამფუძნებელი გოჩა ფიფია „ახალ თაობასთან“ საუბრობს იმაზე, კვლავ რატომ ებმება პოლიტიკურ პროცესებში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, როგორ ხდებოდა მისი დახვრეტის ინსცენირება ნაცმოძრაობის დროს, როდესაც კოდორში ემზარ კვიციანს ებრძოდნენ და როგორ წაართვეს ბიზნესი.

– ბატონო გოჩა, თქვენ განაცხადეთ, რომ არსებობს უკიდურესი აუცილებლობა ვიმოქმედოთ, სიჩუმე და უმოქმედობა დანაშაულის ტოლფასია. ასე ძალიან რატომ შეგაწუხათ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა?

– პირველ რიგში, ასპარეზზეა თვითონ უსამართლობა, რომელიც, განსაკუთრებით, 2004 წლიდან სუფევს. ასპარეზისა და მოედნის გასუფთავებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. თუნდაც მოედანზე გამოვიდნენ ყველაზე პატიოსანი, ყველაზე პროფესიონალი და კეთილსინდისიერი მოთამაშეები, არსებული პოლიტიკური მოედნის გასუფთავებას შეიძლება ათეულობით წელი დასჭირდეს, ნიადაგი საწამლავით იმდენად არის გაჟღენთილი. იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში პოლიტიკური სპექტრი გაიწმინდება. პარადოქსია, მაგრამ დღესაც უთანასწორო ბრძოლაა.

– ბოლო დროს თქვენ დისტანცირებული იყავით პოლიტიკისაგან. რა შეიძლება ვუწოდოთ იმას, რაც თქვენ წამოიწყეთ?

– პოლიტიკისაგან დისტანცირებული ვიყავი და პოლიტიკისაგან დისტანცირებული ვარ დღესაც, მაგრამ აქამდე ზუგდიდში არსებობდა ორი შტაბი. ერთი – ნაცისტური მოძრაობის, მეორე – „ქართული ოცნების“. მე დავაფუძნე მესამე შტაბი, რომელსაც ჰქვია „სწორი და მართალი არჩევანი“. პოლიტიკისაგან დისტანცირება ცოტა თავსმოხვეული თემაა.

ჩვენ ვერასოდეს ვდისტანცირდებით პოლიტიკისაგან. რატომღაც გვგონია, რომ პოლიტიკა რაღაც ცალკე აღებული კატეგორიაა, რომელიც თითქოს არანაირად არ უკავშირდება ჩვენს ყოფითს. ჩვენ ყველანი, როგორც ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები ვართ. გვინდა – არ გვინდა, პოლიტიკურ პროცესებში ვმონაწილეობთ.

– თქვენი პოლიტიკისგან დისტანცირება სააკაშვილის ხელისუფლებამ გაიძულათ?

– იძულება არა, უბრალოდ, გადაწყვეტილება მივიღე, ჩემი ძალები მომესინჯა ბიზნესში, რომელსაც ვთვლი, რომ წარმატებით ვახორციელებ.

– თქვენ სააკაშვილის დროს დეპუტატი იყავით, მანამდე კი ბიზნესმენი. თქვენ გქონდათ კომპანია „უშბა“. რა მოხდა მაშინ?

– სააკაშვილის ხელისუფლებამ ფინანსური პოლიციის №1 ბრძანებით ჩემ საწარმოზე თავდასხმა მოახდინა. სულ წამებაში და ზეწოლის ქვეშ ვიყავი, გარდა იმისა, რომ საწარმო წაგვართვეს.

– ზეწოლას რატომ ახდენდნენ?

– იმისთვის, რომ კომპანია წაერთმიათ, კომპანია მათ წარმომადგენლებისთვის თეთრებში რომ მიგვეყიდა. პოლიტიკაში ყოფნის დროს სამჯერ ჩემი დახვრეტის მცდელობა და ინსცენირება იყო. ნაცმოძრაობის აზროვნებისა და მოქმედების შესახებ ყველას მოეხსენება.

– დახვრეტის ინსცენირება როგორ მოხდა?

– სვანეთში ემზარ კვიციანთან დაკავშირებული მოვლენები როცა იყო, როგორც დეპუტატი, კოდორში წავედი. როდესაც კოდორიდან დავბრუნდი, ჩემზე შეიარაღებული დაჯგუფების მხრიდან თავდასხმა განხორციელდა. არ ვამბობ, რომ პირდაპირ თავდაცვისა და შს სამინისტროს წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ფორმალურად, რა თქმა უნდა, ამ უწყებების წარმომადგენლების მიერ მოხდა ჩემი გატაცება.

3 დღეს მატარებდნენ. როდესაც თბილისისკენ მოვყავდი პარლამენტის წევრი, სამჯერ მოხდა ჩემი დახვრეტის ინსცენირება.

– სად ხდებოდა ინსცენირება?

– ენგურის პირას, კაშხალთან, გზაში და ა.შ.

– რას გეუბნებოდნენ, რა უნდოდათ, რას გერჩოდნენ?

– არაფერს მეუბნებოდნენ. მანქანაში ისხდნენ ნიღბიანები.

– ინსცენირება როგორ ხდებოდა?

– იარაღის შუბლზე მობჯენით. სხვადასხვა მანქანებით მოვყავდი და გზაში ხორციელდებოდა ასეთი აქცია.

– დაშინება უნდოდათ?

– რა თქმა უნდა. არ არის გამორიცხული, ჩემი დახვრეტა მართლა ჰქონოდათ გადაწყვეტილი და მერე გადაიფიქრეს. ახლა ამაზე საუბარი წვრილმანად მეჩვენება.

– ეგ რა წვრილმანია, დეპუტატი რომ გაჰყავთ, შუბლზე იარაღს აბჯენენ და დახვრეტის ინსცენირებას ახდენენ.

– მაშინ მე პირდაპირ ეთერში ჩემ წინააღმდეგ ჩადენილის გამოძიება მოვითხოვე.

– მაშინ თქვენ არ გითქვამთ, რომ ხელისუფლებასთან ასოცირებულმა ჯგუფმა თუ მათმა წარმომადგენლებმა თქვენი დახვრეტის ინსცენირება მოახდინეს.

– შეიძლება არ მითქვამს, ახლა კარგად აღარ მახსოვს.

– თქვენ დეპუტატობის პერიოდში შიმშილობაც კი გამოაცხადეთ, თუმცა, მგონი, საკითხი, რის გამოც შიმშილობდით, პირადად თქვენ არ გეხებოდათ, თქვენი ამომრჩევლის პრობლემების მოგვარებას მოითხოვდით.

– დიახ. მაშინ გირგვლიანის ცნობილი ტრაგედია ჯერ მომხდარი არ იყო. თუმცა, ჩვენ მიხეილ სააკაშვილს პარლამენტში გამოსვლისას დავუსვით საკითხი, რომ ადამიანების გატაცებებისა და მკვლელობების ფაქტებზე მას პასუხი გაეცა. სწორედ მაშინ დავიწყე შიმშილობა.

– ცხადია, თქვენ აღარ გინდათ დავუბრუნდეთ იმ პერიოდს, სადაც ადამიანებს დახვრეტის ინსცენირებას უწყობენ.

– მე პარალელი გავავლე სრულიად ნაცისტურ აზროვნებასა და დღევანდელობას შორის. შესაძლებელია, დღევანდელობა ხასიათდება შეცდომებით, დაუდევრობებით, გამოუცდელობით, საბოტაჟებით...

– საბოტაჟში რას გულისხმობთ?

– საბოტაჟზე საუბარია ეკონომიკურ წრეებშიც და არაეკონომიკურ წრეებშიც. საბოტაჟია ნაცხროვის აზროვნებით გაჟღენთილი ხალხი, მაგალითად, პრეზიდენტი მარგველაშვილი. საბოტაჟი იყო ყოფილი სახალხო დამცველი, საბოტაჟია სამოქალაქო სექტორად წოდებული დღევანდელი სამოქალაქო სექტორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამოქალაქო სექტორთან. საბოტაჟია გარედან, სხვადასხვა ქვეყნებიდან. გარედან საბოტაჟი მტრის მიერ ხორციელდება, მაგრამ შიგნით საბოტაჟი ნამდვილად არის.

– ნაცონალები არც ნანობენ, სააკაშვილმა თქვა, შესაწყალებელი არაფერი გვჭირსო.

– დაცემული აღზევებულისგან იმით განსხვავდება, რომ აზროვნების უნარი აქვს დაკარგული. მათ უდიდესი დანაშაული აქვთ ჩადენილი, კაცობრიობის წინაშე დანაშაულიც, რაზეც ერთ მშვენიერ დღეს მოჰკითხავენ. ისინი ვერ ხვდებიან, ვინც ციხეშია, რა კარგ მდგომარეობაში არიან და როგორ შეიწყალა ისინი ღმერთმა, რომ ისევ ციხეში არიან. თუმცა, ციხეში ყოფნა ნიშნავს სინანულისთვის განკუთვნილ დროს. დღეს მსგავსი რამ არ ხდება. ზოგადად, პენიტენცია ლათინური სიტყვაა და მოსანანიებელ ადგილს ნიშნავს. მინდა მათ ამის შესახებ იცოდნენ.

– ფიქრობთ, რომ ნაცმოძრაობა პოლიტიკიდან ჩამოსაცილებელია?

– ნაცმოძრაობა ასაკრძალი ძალაა. ნაცმოძრაობაზე, როგორც ასეთზე და მის უამრავ წარმომადგენელზე ძალიან კვალიფიციურად სისხლის სამართლის საქმეები უნდა აღიძრას. ყველა ისინი პოლიტიკურ პროცესებს უნდა ჩამოცილდნენ.

– დღეს თქვენი ბიზნესი ხელისუფლებისგან ზეწოლას არ განიცდის?

– დღეს ბიზნესი თავისუფალია ისე, როგორც არასოდეს.

– წინასაარჩევნოდ იყო ხმაური იმაზე, რომ დღესაც ხდება რეკეტი.

– ეს არის ტყუილი. რაც ბიზნესში ვიყავი და, რაც თავი მახსოვს, სულ ვიბრძოდი. შეიძლება ბიზნესმენს დახმარება სჭირდებოდეს, თორემ ბიზნესი სრულიად თავისუფალია. დღეს ისეთი თავისუფალი გარემოა, მსგავსი საქართველოში არასოდეს ყოფილა.

– თქვენ როგორ შეძელით ნულოვანი წერტილიდან ბიზნესის აღორძინება?

– ეს პირდაპირ მაშინდელი ბიზნესომბუდსმენის გიორგი გახარიას დამსახურებაა. დღევანდელი ხელისუფლება და მისი ბიზნესომბუდსმენი რომ არა, მე და ჩემი მეგობრებიდან ბევრს შეიძლება ტრაგედიით დაესრულებინა ცხოვრება. უმადური ვიქნები, დავივიწყო ის დახმარება, რაც გამიწიეს იმ პერიოდში, როდესაც ბიზნესი წამოვიწყე. თუმცა, ეს არანაირად არ არის დითირამბები.

– მოგეხსენებათ, არჩევნებზე 50%-ზე მეტი არ მივიდა. იმედი გაქვთ, რომ ამომრჩეველს შემოაბრუნებთ?

– რთულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას შევძლებთ, ჩვენ ამ არჩევნებზე არ დავუშვებთ ნაცების გამარჯვებას.

– თუმცა, ნაციონალებს შანსები აქვთ.

– შანსი აქვთ, ეს იგრძნობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართველი ხალხის ბუნებისა და ხასიათის საკრალურობა ყველაფერს გადაწყვეტს.

სოსო ჯაჭვლიანი: „კი, ცოცხები აღარ არის, მაგრამ პროგრესიც ხომ გვინდა?!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– როგორ არ მიჩნდება. კითხვები ძალიან ბევრია. ეს ბატონმა ბიძინამაც თქვა ახლა. მე რომ ტყუილს ვიძახდე, ხომ იტყვიან ჩემი ყოფილი თანაგუნდელები, რომ ამაზე არ ვლაპარაკობდი. მე სულ ვეუბნებოდი, რომ ხალხო, ეს არ შეიძლება-მეთქი.

გახსოვთ, საგარეჯოში არჩევნები ტარდებოდა, თამარ ხიდაშელი იყრიდა კენჭს, გვახსოვს, რესპუბლიკელები რომ იყვნენ ჩასულები და ხმებს ითვლიდნენ, მინისტრი იყო ჩასული და მე ამას არ გავაკეთებდი-მეთქი.

– რას გეუბნებოდნენ მაშინ თანაგუნდელები?

– არ შეიძლება ყველაფერში რევანშისტული რაღაცებიო.

– ანუ სამართლიანობის აღდგენას რევანშად მოიხსენიებდნენ?

– არა. ერთ მაგალითს გეტყვით. 2012 წელს, როცა მოვედით, ერთი ადამიანი მოვიდა პარლამენტში და მითხრა, რომ მე დამჩაგრეს და ამხელა რაღაცა წამართვეს. მე უცებ გამახსენდა ეს ამბავი და ვეუბნები, რომ შენ ხომ გაყიდე ეს-მეთქი. კი, გავყიდე, მაგრამ ახლა ვიტყვი, რომ წამართვესო. ალბათ ასეთებიც ბევრნი იყვნენ და აირია მონასტერი.

მორჩეს არჩევნები და მერე ვიტყვი, რაც ჰქონდათ ჩემი ოჯახის წევრებს იმ მთავრობისგან, რაზეც მე არ ვლაპარაკობდი. რატომ იცით? მე რომ ამაზე ლაპარაკი დეპუტატობისას დამეწყო, იტყოდნენ, რომ თავისიანებზე „ჩალიჩობს“ და სხვებზე არ ფიქრობსო. ამიტომ, დაველოდოთ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ძალიან ბევრ რამეზე ვილაპარაკებთ.

ნაციონალებმა ისევ იმდენი ხმები აიღეს, რაც 2012 წელს აიღეს, ჩვენ კი ნაკლები ავიღეთ. ეს იმიტომ, რომ ადამიანები არ ცდებიან და ადამიანები უყურებენ შედეგს. კი, ცოცხები აღარ არის, აღარ აწამებ, მაგრამ პროგრესი ხომ გვინდა?!

„ეროვნული ბანკი დიდ ბომბზე ზის“

ეროვნული ბანკი საკმაოდ დიდ ბომბზე ზის, რადგან თუ ლარმა განაგრძო გაუფასურება, მოულოდნელად მოხდება ინფლაცია, ეს პროცესი სტიქიურად წავა და სტიქიურ სახეს მიიღებს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ეკონომისტმა აკაკი ცომაიამ განუცხადა. მისი თქმით, ამ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს მოუწევს მძიმე ზომების მიღება სიტუაციის გამოსასწორებლად.

– არც ეროვნული ბანკი და არც საქართველოს მთავრობა ლარის კურსის სტაბილურობისთვის არაფერს აკეთებს. მით უმეტეს, ეროვნულ ბანკს აქვს მკვეთრად გაცხადებული მიზანი, რომ მისი სამიზნე არის ინფლაცია და არა ლარის კურსი. ამიტომ, როგორც ეროვნული ბანკი ამბობს, ის ჩაერთვება მაშინ, თუ ფასების დონე გადააჭარბებს მიზნობრივ მაჩვენებელს, სხვა შემთხვევაში კი იგი არ ჩაერთვება, როგორიც არ უნდა იყოს კურსი ბაზარზე. განვითარებადი ტიპის საზოგადოებისთვის ეს არის არასწორი მიდგომა. ინფლაციის პრობლემა შესაძლებელია უცებ და მოულოდნელად მართლაც დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ლარი გაუფასურებას განაგრძობს.

სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით, შესაძლოა, კონკრეტულ პერიოდში ლარი გამყარდა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს და ბევრს არაფერს ცვლის. თუ ლარი უფასურდება, ის საქონელი და მომსახურება, რომლის შესყიდვა დოლარში ხდება, მაინც ძვირდება, – განაცხადა აკაკი ცომაიამ.

მისი თქმით, დოლარში შესყიდვები ხორციელდება ისეთი ტიპის საქონელზე, როგორიც არის ნავთობპროდუქტები, გაზი და ა.შ. რაც უკვე წარმოადგენს საკმაოდ დიდ რისკს, რომ ამ ტიპის საქონელზე ფასების ზრდა ავტომატურად გამოიწვევს სხვა ტიპის საქონელსა და მომსახურებაზე ფასის ზრდას.

– ეროვნული ბანკი საკმაოდ დიდ ბომბზე ზის, რადგან თუ ლარმა განაგრძო გაუფასურება, მოულოდნელად მოხდება ინფლაცია, ეს პროცესი სტიქიურად წავა და სტიქიურ სახეს მიიღებს. შესაბამისად, ეროვნულ ბანკს მოუწევს მძიმე ზომების მიღება ამ მიმართულებით, – აღნიშნა ცომაიამ.

მთავრობამ უნდა დაბალანსოს საკუთარი ხარჯები და სახელმწიფო შესყიდვები უნდა განახორციელოს ისე, რომ ნაკლებად იყოს დამოკიდებული იმპორტზე.

– ძალიან ბევრი დასახელების საქონელს მთავრობა ეძებს და ყიდულობს უცხოეთში – ნაგვის ბუნკერებიდან დაწყებული ასანთით დამთავრებული. დიდი რაოდენობით კაპიტალი გაედინება მაშინ, როდესაც მთავრობას შეუძლია შექმნას გარკვეული ტიპის კლასტერული წარმოებები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ადგილობრივ ბაზარზე.

ამ მიმართულებით უნდა მოხდეს მუშაობა. რეალურად, სამთავრობო შესყიდვებში იმპორტის წილი გაიზარდა, რაც დამატებითი ფაქტორია ლარის გაუფასურებისთვის, – განმარტა ეკონომისტმა.

მისი აზრით, ლარის კურსის დევალვაციას ხელს უწყობს მოქალაქეების მოლოდინიც, რომლის გასაქარწყლებლად ეროვნული ბანკი კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამს.

– ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არის შემდგომი: ადამიანის მოლოდინი მომავალთან დაკავშირებით არის გაუგებარი და ბუნდოვანი. არ ვიცით, რომ ეკონომიკა ან ჩვენი ცხოვრება მომავალში გაუმჯობესდება. ეს გვაიძულებს თითოეულ ჩვენგანს, რომ კონკრეტული მოქმედებები განვახორციელოთ, რაც ლარს უფრო და უფრო აუფასურებს ანუ ჩვენ ვცდილობთ, ლარი მოვიშოროთ, როდესაც არ გჭირდებათ ის შესყიდვის გარდა სხვა რამეში.

მოსახლეობა როგორც კი განახორციელებს კონკრეტულ ტრანზაქციას, სასწრაფოდ გადაყავს უცხოურ ვალუტაში ან სხვა აქტივში, რადგან არ აქვთ ნდობა ლარის მიმართ, რომ ის კიდევ უფრო მეტად არ გაუფასურდება.

ეს არის მოლოდინების ფაქტორი, რაც იწვევს ლარის გაუფასურებას. ამ პროცესში, მოლოდინების ფაქტორების მართვა შეუძლია ეროვნულ ბანკს. მას კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენებით, შეუძლია აგრძნობინოს საზოგადოებას, რომ ლარი არ გაუფასურდება მოლოდინების ფაქტორებიდან გამომდინარე. ეროვნულ ბანკს შეუძლია მოლოდინების მართვა, – აღნიშნა აკაკი ცომაიამ.

კომერციულ ბანკებში 1 დოლარი 2.8 ლარია

კომერციულ ბანკებში 1 აშშ დოლარის ღირებულება 2 ლარსა და 80 თეთრს აღწევს. ეროვნული ვალუტა რეკორდული სისწრაფით გაუფასურებას განაგრძობს.

ლარი გაუფასურებულია ბლუმბერგის მონაცემებითაც, რომლის თანახმად, 1 აშშ დოლარი 6 ნოემბერს 2.75 ლარი იყო, 7 ნოემბერს კი 2.76 ლარს გადასცდა. ეროვნული ვალუტა 1 თეთრამდე გაუფასურდა.

შეგახსენებთ, რომ ლარი ბოლო დღეების განმავლობაში რამდენიმე თეთრით გაუფასურდა.

თემურ ჭყონია: „ბაზარზე უწესო ფული ტრიალებს“

ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით ბიემჯისთან კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ ბაზარზე ჭარბი, უწესო ფულია, რომელიც არ უნდა ტრიალებდეს და სწორედ მისი არსებობა იწვევს კურსის ცვლილებას.

– ბაზარზე უფრო მეტი ლარია, ვიდრე უნდა არსებობდეს. რის გამოა ეს გამოწვეული, არჩევნებშია შავი ფული თუ თვითონ ტრიალებს უკონტროლოდ, არ ვიცი. ეროვნული ბანკი მკაცრად არეგულირებს სისტემას, უბრალოდ, ამ თემის მოწესრიგება ძალიან რთული პროცესია, ამიტომ მათ ნუ დავადანაშაულებთ. აქ, სადღაც არის უწესო ფული, რაღაც თანხა ტრიალებს ბაზარზე, რომელიც არ უნდა ტრიალებდეს, ჭარბი ფულია რაღაც მიზეზის გამო. მე ვერ ვიტყვი, რა არის მიზეზი, ეს ეროვნულმა ბანკმა უნდა იცოდეს, – განაცხადა თემურ ჭყონიამ.

მიხეილ დუნდუა ფინანსთა მინისტრის მოადგილე გახდა

საზოგადოება 20/30-ის ყოფილი ექსპერტი, ეკონომისტი მიხეილ დუნდუა დააწინაურეს.

როგორც ბიემჯის ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მიხეილ დუნდუა 6 ნოემბრიდან ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის მოადგილე გახდა.

მიმდინარე წლის აგვისტოში, პრემიერის ბრძანებით, მიხეილ დუნდუა შემოსავლების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა; მაშინ აღნიშნულ სამსახურს გიორგი თაბუაშვილი ხელმძღვანელობდა და თან ის, პარალელურად მინისტრის პირველი მოადგილის ფუნქციას ასრულებდა. აღნიშნული საკადრო ცვლილების შემდეგ თაბუაშვილმა სამინისტრო დატოვა.

შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელის პოსტი ჯერჯერობით ვაკანტურია.

საქონლის ხორცი 2-4 ლარით გაძვირდა

რა გახდა მსხვილფეხა საქონლის დეფიციტის მიზეზი?



ადგილობრივ ბაზარზე მსხვილფეხა საქონლის დეფიციტია, რის გამოც ხორცის ფასი გაიზარდა. ბოლო პერიოდის განმავლობაში საქონლის ხორცი 2-4 ლარით გაძვირდა.

როგორც სასაკლაოების მეპატრონეები „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებენ, ხორცზე მოთხოვნა დიდია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მსხვილფეხა საქონლის შენახვა ძვირი ჯდება, ადგილობრივმა წარმოებამ იკლო, ხორცის იმპორტი კი გაიზარდა. ამას ემატება ცოცხალი საქონლის ქვეყნიდან გაყვანაც.

ხორცი იმ პროდუქტების ჩამონათვალშია, რომელთაც საქართველო ყველაზე მეტი რაოდენობით ყიდულობს. ის მეოთხე ადგილზეა.

ხორცისა და კვების სუბპროდუქტების იმპორტმა 2018 წლის იანვარ-სექტემბერში 45 მილიონი დოლარი შეადგინა. რაც შეეხება კონკრეტულად საქონელს, ბოლო წლებში სულადობის შემცირების ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, 2016 წლის მეორე კვარტალში ქვეყანაში სულ აღრიცხული იყო 1.114 სული საქონელი, 2017 წლის მეორე კვარტალში – 1.039, ხოლო 2018 წლის მეორე კვარტალში – 977.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რატომ გაიზარდა ხორცის იმპორტი და რა პრობლემები აქვთ ადგილობრივ სასაკლაოებს?

როგორც თელავში მდებარე სასაკლაოს შპს „ქართული ხორცის პროდუქტების“ ხელმძღვანელმა სანდრო მეგუთნიშვილმა განაცხადა, მსხვილფეხა საქონლის სულადობის შემცირება ძირითადად დაკავშირებულია ხარჯებთან.

– თუ გასულ წლებში ვკლავდით 1.200-1.100 სულს, ახლა დაახლოებით, 600-700 სულზე ჩამოვედით. საქონელი შემცირდა, ამიტომ ხორცზე ფასი გაიზარდა. მცირე რაოდენობის გამო საქონლის ხორცი 2-4 ლარით გაძვირდა. სასაკლაოზე ხორცი, რომელიც ერთი წლის წინ 10-12 ლარი ღირდა, ახლა 14-16 ლარი ღირს. მოგეხსენებათ, საქონლის ხორცი სხვადასხვა სახეობის არის, მინდვრის, ბაგაზე დაბმული, ხბოს ხორცი და ა.შ. აბსოლუტურად ყველაფრის ფასმა მოიმატა.

არის სოფლები, სადაც ნახირიც კი აღარ დადის, საქონელი იმდენად შემცირებულია. არც საძოვარი აღარ არის და ხალხს საქონლის ყოლა აღარ უნდა. უკეთესი მდგომარეობაა მთაში. ჩემი ყასბები დედოფლისწყაროდან დაწყებული, ზემო და ქვემო ქედით დამთავრებული, დადიან, რომ საქონელი ნახონ და იყიდონ. ძალიან გაჭირდა ყიდვა. ამას ემატება ისიც, ეს ხორცი თბილისში რომ მოდის, კიდევ უმატებენ გასაყიდ ფასს. იმპორტირებული გაყინული ხორცის ფასი კი 7,5 ლარია, – აცხადებს სანდრო მეგუთნიშვილი.

მისი თქმით, თუ მსხვილფეხა საქონლის გაყვანა არ შეიზღუდა, კიდევ უფრო გაჭირდება მოთხოვნის დაკმაყოფილება და, შესაბამისად, ფასიც გაიზრდება.

– მიუხედავად სიძვირისა, ახალ ხორცზე მოთხოვნა სულ არის. თელავის მაგალითზე შემიძლია გითხრათ მაღაზიებში, რესტორნებში სულ ითხოვენ. თუ მსხვილფეხა საქონლის გაყვანა არ შეიზღუდა, ჩათვალეთ, რომ ცოტა ხანში უფრო გაჭირდება წარმოება და ხორცის ფასი კიდევ გაძვირდება. როგორც ვიცი, აზერბაიჯანში გადიოდა და სულ მაგას ვამბობდით, რომ პრობლემა შეიქმნებოდა. ახლა, როგორც ვიცი, გარკვეული შეზღუდვები არის, მაგრამ რაღაც ოდენობა მაინც გადის, – აცხადებს სანდრო მეგუთნიშვილი.

„ბიზნესპრესნიუსი“ ხაშურის სასაკლაოსაც დაუკავშირდა, რომელიც აღმოჩნდა, რომ 5 თვის წინ დაიხურა. როგორც მისი მეპატრონე გიორგი ბლიაძე აცხადებს, მიზეზი ის პრობლემებია, რომლებზეც წინა რესპონდენტი საუბრობდა. კერძოდ, საქონლის დეფიციტი და სიძვირე, რასაც ხაშურში კონკურენტი სასაკლაოს გახსნაც დაემატა.

– ხაშურში 2 სასაკლაო ვერ იმუშავებდა, ამიტომ 5 თვის წინ მუშაობა შევაჩერეთ. გარდა ამისა, იყო მთელი რიგი პრობლემები, ფასის მომატება, საქონლის დეფიციტი და. ა.შ. ამიტომ იძულებული გავხდით, ამ გადაწყვეტილებამდე მივსულიყავით, – განაცხადა გიორგი ბლიაძემ.

მსხვილფეხა საქონლის დეფიციტზე საუბრობს კიდევ ერთი სასაკლაო შპს „ახალი ხორცის“ წარმომადგენელი კახა ქობალიაც.

მისი თქმით, მსხვილფეხა საქონელი დიდი რაოდენობით გადის, რაც ხორცის ფასზე პირდაპირ ისახება.

– ფასი სულ უფრო იზრდება, რადგან მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა ყოველ წელს მცირდება. ახალ თაობასაც ნაკლებად აინტერესებს ეს საქმიანობა და სულ უფრო ჭირს საქონლის შეძენა. ამას ემატება ისიც, რომ მუსლიმანურ ქვეყნებში მსხვილფეხა პატარა ასაკის საქონელი გაჰყავთ და ეს ძალიან მოქმედებს ჩვენს ბაზარზე, რადგან ის რაოდენობა, რაც გაჰყავთ, ჩვენთვის ძალიან დიდია. მსხვილფეხა საქონელი თითქმის ამოწურვადი გახდა.

თუ ასე გაგრძელდა, დავეწევით მათ ფასებს და ალბათ, ისინიც მერე სხვა ქვეყნებზე გადაერთვებიან, ჩვენგან აღარ იყიდიან. ახლა ულირთ ყიდვა, როცა 10-12 ლარი ღირს, მაგრამ თუ კიდევ შემცირდა რაოდენობა და აქ 25 ლარი გახდა, ისინიც მოძებნიან ისეთ ქვეყნებს, სადაც უფრო იაფია, – აცხადებს კახა ქობალია.

ქართული მატყლი ევროკავშირში იყიდება

„ქართული მატყლის კომპანიას“ საკუთარი პროდუქცია ევროკავშირის ქვეყნებში გააქვს. კომპანიის დამფუძნებლის ზაურ კულიევის განცხადებით, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის სტანდარტებსა და კონტროლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ევროკავშირში მატყლის შეტანას №142/2011 რეგულაცია განსაზღვრავს, რომელიც მწარმოებლისგან დაუმუშავებელი მატყლის დაცული და დალუქული სახით გაგზავნას პირდაპირ გადამამუშავებელ კომპანიებში მოითხოვს.

ზაურ კულიევის განცხადებით, მატყლზე მოთხოვნა წინა წელთან შედარებით შემცირდა. კომპანიისთვის მნიშვნელოვან პრობლემას ლარის კურსი წარმოადგენს, რადგან დოლარის გამყარებამ პროდუქციაზე ფასის ვარდნა გამოიწვია.

„ქართული მატყლის კომპანიის“ პროდუქციაზე მოთხოვნა განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის ბაზარზეა.

ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად ემზადება ქართული თაფლი.

ახალციხის კოოპერატივ „კოდი“-ის თაფლის ნიმუში გერმანიის ბაზარზე გაიგზავნა. როგორც კოოპერატივის წარმომადგენელი გიორგი მერაბიშვილი ამბობს, თაფლმა წარმატებით გაიარა ტესტირება და ის აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს.

მისი თქმით, კოოპერატივი დაახლოებით 2 წელიწადში უკვე ინტენსიურად დაიწყებს პროდუქციის ექსპორტზე გატანას. კოოპერატივმა თავისი საქმიანობა ფერმერთა ასოციაციისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს პროექტის დახმარებით განავითარა, რომლის ფარგლებშიც მათ სხვადასხვა მანქანა-დანადგარები გადაეცათ.

– რამდენიმე საექსპორტო შემოთავაზება უკვე გვქონდა. ჯერჯერობით ვცდილობთ, რომ დავმკვიდრდეთ ადგილობრივ ბაზარზე და სამომავლოდ, დაახლოებით 2 წელიწადში, ვფიქრობთ, რომ ინტენსიურად დავიწყოთ ჩვენი პროდუქტის ექსპორტი, – ამბობს გიორგი მერაბიშვილი.

ბიემჯი

ვარკეთილში 9 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს

ამბობენ, რომ გოგონა მამინაცვალს შემოაკვდა, რის შემდეგაც მან სახლში გაზი გაუშვა

თბილისში, ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში, 9 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც „ნიუპოსტს“ ადგილობრივები უყვებიან, გოგონა, სავარაუდოდ, მამინაცვლის მიერ ცემის შედეგად გარდაიცვალა, რის შემდეგაც, მათივე ვერსიით, მამაკაცმა კვალის დაფარვის მიზნით, სახლში გაზი გაუშვა.

შემთხვევისას სახლში გოგონას დედაც იმყოფებოდა, რომელმაც ინტოქსიკაცია მიიღო.

მეზობლების თქმით, გარდაცვლილი და მისი დედა სამაშველო სამსახურმა იპოვა, რომელიც ადგილზე გარდაცვლილის ახლობლებმა გამოიძახეს.

ადგილობრივების თქმით, გოგონას წინა დღეს დაბადების დღე ჰქონდა. ნათესავები მასთან დაკავშირებას ცდილობდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც დედა-შვილი კონტაქტზე არ გამოვიდნენ, მათ 112-ში დარეკეს.

მეზობლებისვე ინფორმაციით, მამაკაცი პოლიციამ უკვე წაიყვანა. ადგილობრივები ამბობენ, რომ ოჯახი აღნიშნულ კორპუსში ქირით ცხოვრობს და მათ ხშირად ჰქონდა კონფლიქტი.

მათივე მონაყოლის თანახმად, ბოლო ინციდენტი ორი დღის წინ მოხდა, როცა გარდაცვლილის დედამ არასრულწლოვანი მეზობლის სახლში შეიყვანა და დახმარება სთხოვა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტებზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

გორში ორ სამხედროს მანქანა დაეჯახა

გორში, შინდისის გზატკეცილზე, თავდაცვის სამინისტროს პირველი ქვეითი ბრიგადის ორ სამხედრო მოსამსახურეს „ოპელის“ მარკის ავტომობილი შეეჯახა.

დაშავებულები 25 წლამდე მამაკაცები არიან, ისინი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

არსებული ინფორმაციით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. როგორც შსს პრესსამსახურში განაცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, ჩანიშნულია კომპლექსური ექსპერტიზა.

ნავთლუღის ქუჩაზე გაჩენილ ხანძარს 66 წლის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა

ნავთლუღის ქუჩაზე გაჩენილ ხანძარს 66 წლის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. ცეცხლი სამსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე გაჩნდა. დამწვარია 60 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი.

რა გახდა ხანძრის გამომწვევი მიზეზი, ჯერჯეროობით უცნობია, ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ ცეცხლი სიგარეტის ნამწვავიდან გაჩნდა.

ადგილზე 6 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი მუშაობდა.

ძლიერი დაკვამლიანების გამო, საჭირო გახდა მოსახლეობის ევაკუაცია. მეხანძრე-მაშველებმა 5 ადამიანი, მათ შორის, 3 მცირეწლოვანი ბავშვი, უვნებლად გამოიყვანეს.

სენაკში ცივი იარაღით ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

სენაკში, კოსტავას ქუჩაზე ცივი იარაღით ერთი პირი დაჭრეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაჭრას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა, ერთმანეთს ახალგაზრდების ჯგუფი დაუპირისპირდა.

დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი და გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

სასამართლომ „საქნახშირის“ თანამშრომლები პატიმრობაში დატოვა

გუშინ, 7 ნოემბერს, ქუთაისის სასამართლომ „საქნახშირის“ თანამშრომლები პატიმრობაში დატოვა.

მოსამართლემ ადვოკატების შუამდგომლობა არ გაიზიარა და ყველა ბრალდებული პატიმრობაში დატოვა.

6 დეკემბერს ჩანიშნულ სხდომაზე გაირკვევა, გაფორმდება თუ არა საპროცესო შეთანხმება ექვსი დაკავებულიდან იმ ხუთთან, რომლებიც ბრალს აღიარებენ.

მეექვსე დაკავებული გოჩა ქასრაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს და დუმილის უფლებას იყენებს.

ტყიბულის შახტში უბედური შემთხვევა, რომლის შედეგადაც 5 ადამიანი დაიღუპა, მიმდინარე წლის 5 აპრილს მოხდა.

მომხდარზე გამოძიება სსკ 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 5-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სადახლოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

სადახლოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 6 ნოემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის გ.ი.-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 3,213.61 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (წონა 49.66 გრამი) გამოავლინეს.

მათივე ინფორმაციით, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 3,213.61 ლარის ოდენობით შეეფარდა.

მკვლელობაში პატიმრობაში რჩება

მძარცველის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.

ადვოკატი ბრალდებულის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილა.

აღნიშნულ საქმეზე გუშინ, 7 ნოემბერს, წინასასამართლო პროცესი გაიმართა, სადაც მხარეებმა მტკიცებულებები წარადგინეს.

ბრალდებულის ადვოკატ იოსებ ჯანაშიას თქმით, სასამართლოს ყოფილი პოლიციელის პატიმრობაში დატოვების არანაირი საფუძველი არ გააჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

– სასამართლომ დღეს ისევ თავი შეიკავა პატიმრის გათავისუფლების გადაწყვეტილებისგან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაცვას სუსტი პოზიცია აქვს. დაცვა ამ საქმეს მოიგებს, რადგან ბრალდებულს დანაშაული არ ჩაუდენია

და ის მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა.

დღეს დავაყენე გირაოს სანაცვლოდ ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ საკითხი, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა. წარვადგინეთ წერილობითი მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნები და მოწმეების ჩვენებები, – განაცხადა იოსებ ჯანაშიამ.

მოცემულ საქმეზე არსებითი განხილვა 2018 წლის 21 ნოემბერს ჩაინიშნა, სადაც მხარეები მტიცებულებებს გამოიკვლევენ.

შეგახსენებთ, 23 ივლისს მამაკაცს სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გაქურდვის მცდელობის დროს სამართალდამცავმა, სავარაუდოდ, წინააღმდეგობის გაწევისას ესროლა. მამაკაცს ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. შედეგად, ის ზუგდიდის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საქმეს თავიდან 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა იძიებდა, თუმცა დაკავებულს ბრალი 116-ე მუხლით გადაუკვალიფიცირდა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. ბრალდებული ბრალს არ აღიარებს.

გორში ხანძარს 60 წლის კაცი ემსხვერპლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანაში საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს 60 წლის კაცი ემსხვერპლა.

ამის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, ხანძრის შედეგად დაიწვა ორსართულიანი სახლის ორი ოთახი – 50 კვ.მ. ფართობი.

ადგილზე 2 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი მუშაობდა. ხანძარი ამჟამად ჩამქრალია.

თბილისის აეროპორტში 53 226.81 ლარის ღირებულების არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს



თბილისის აეროპორტში 53 226.81 ლარის ღირებულების არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 28 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეების ი.ა.-სა და ჰ.მ.-ს კუთვნილი ხელბარგების დათვალიერებისას, ჯამში, 53,226.81 ლარის ღირებულების, არდეკლარირებული საქონელი, კერძოდ: 1 სმარტსაათი, 14 ცალი მობილური ტელეფონი, 16 ცალი მაჯის საათი, 14 ცალი მობილური ტელეფონის ყურსასმენი და 5 ცალი დამტენი აღმოაჩინეს.

უწყების ინფორმაციით, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, ჰ.მ.-ს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 10.361.81 ლარის ოდენობით შეეფარდა, ხოლო სამართალდამრღვევ მოქალაქე ი.ა.-ს საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

სამტრედიის სავაგონო დეპოში მამაკაცი გარდაიცვალა

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ინფორმაციით, 6 ნოემბერს, სამტრედიის სავაგონო დეპოში დასაქმებული რ.თ, სამუშაო საათებში, საკუთარი უფლებამოსილების შესრულების დროს გარდაიცვალა.

– რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის ხელთ არსებული წინასწარი ცნობით, რკინიგზელი გულის შეტევით გარდაიცვალა.

პროფკავშირის შრომის ინსპექტორები ფაქტს ადგილზე შეისწავლიან და უახლოეს დღეებში დადგინდება, დაედო თუ არა საფუძვლად უბედურ შემთხვევას შრომის პირობების დარღვევა და სავაგონო დეპოში არსებული ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემო, – აღნიშნავენ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებაში.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა დემოკრატებმა მოიპოვეს, სენატზე კონტროლს კი რესპუბლიკელები ინარჩუნებენ

დემოკრატიულმა პარტიამ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა მოიპოვა, ქვეყნის სენატზე კონტროლს კი რესპუბლიკელები ინარჩუნებენ. ასეთია შუალედური არჩევნების წინასწარი შედეგები.

თავის მხრივ, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ის კონგრესში გამართული შუალედური არჩევნები წარმატებული იყო რესპუბლიკური პარტიისთვის.

„უდიდესი წარმატებაა. მადლობა ყველას“ – დაწერა დონალდ ტრამპმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე.

დემოკრატებს 238 ადგილის მოპოვება შეუძლიათ წარმომადგენელთა პალატაში, ხოლო რესპუბლიკელები 197 ადგილს მიიღებენ.

წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში, დემოკრატები სპიკერის პოსტს მიიღებენ და ასევე ყველა კომიტეტს გაუძღვებიან.

მედიის პროგნოზების თანახმად, რესპუბლიკური პარტია უმრავლესობას ინარჩუნებს აშშ-ის სენატში. რესპუბლიკელები ასიდან 52 ადგილს მოიპოვებენ.

მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელების კანდიდატებმა ტექასში, ტენესიში, ინდიანასა და ჩრდილოეთ დაკოტაში გაიმარჯვეს, დემოკრატებმა სენატზე კონტროლის დამყარების შანსები დაკარგეს.

6 ნოემბრის არჩევნების ფარგლებში ამერიკელმა ამომრჩევლებმა აირჩიეს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 435 წევრი, აშშ-ის სენატის დაახლოებით 1/3. ასევე გუბერნატორის არჩევნები გაიმართა აშშ-ის 36 შტატში, ხოლო 46 შტატში კი საკანონმდებლო ორგანოებში არჩევნები ჩატარდა.

როგორც წესი, პარტია, რომლის წევრი პრეზიდენტიცაა, შუალედურ არჩევნებზე კარგავს ადგილებს წარმომადგენელთა პალატაში (გამონაკლისი მხოლოდ 1934 და 2002 წელს დაფიქსირდა).

ტრამპისა და პუტინის შეხვედრა მაკრონმა ჩაშალა?!

პარიზი დღესასწაულისთვის ემზადება. აღინიშნება პირველი მსოფლიო ომის დამთავრების მე-100 წლისთავი. ამ ზეიმზე პარიზში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები მოიყრიან თავს. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ დონალდ ტრამპი და ვლადიმერ პუტინი ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდნენ და შეხვდებოდნენ.

– პარიზში პუტინ-ტრამპის ხანმოკლე შეხვედრა შედგება, – აცხადებდა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე დიმიტრი პესკოვი.

ამის შემდეგ ტრამპმა განაცხადა, რომ პარიზში მისი და პუტინის შეხვედრა არ გაიმართება. პესკოვმა ეს დაადასტურა, თუმცა არ განმარტა მიზეზი. ტრამპიც დუმილს ამჯობინებს.

მიზეზი გაზეთმა „კომერსანტმა“ განმარტა:

– პრეზიდენტმა მაკრონმა პუტინსა და ტრამპს სთხოვა, შეხვედრა გადაედოთ.

„კომერსანტი“ წერს, რომ მაკრონი შიშობს, პუტინ-ტრამპის შეხვედრამ ზეიმი არ დაჩრდილოს. საფრანგეთის პრეზიდენტს სურს, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების იუბილე სათანადოდ აღნიშნოს, ისე, რომ ყურადღების ქვეშ მხოლოდ ეს თემა იყოს.

პირველმა მსოფლიო ომმა საფრანგეთს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა. ფრანგებმა გაიმარჯვეს, მაგრამ უდიდესი მსხვერპლის ფასად. მთელი მათი ცნობიერება გადაბრუნდა. მუშკეტერთა იდეალები და პატრიოტიზმი პაციფიზმმა ჩაანაცვლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მაიკ პომპეო კიმ ჩენ ინის მრჩეველს შეხვდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინის მაღალი რანგის მრჩეველ კიმ ჩხიონ იოლს შეხვდა.

მოლაპარაკებების მთავარი თემა აშშ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობები იყო.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სინგაპურის სამიტის დადგენილებები ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განხორციელდეს. საუბარია ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ განიარაღებასა და აშშ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობებზე.

იური ლუცენკო გადადგა

უკრაინაში გრძელდება აჟიოტაჟი აქტივისტ ეკატერინე განძიუკის მკვლელობის გამო. შსს-ს შენობასთან გრძელდება პატრიოტების აქციები, რომლებიც გენპროკურორ ლუცენკოსა და შს მინისტრ ავაკოვის გადადგომას მოითხოვენ.

დასავლეთი უკრაინის მთავრობისგან ქმედითი ზომების განხორციელებას ითხოვს. დიდმა შვიდეულმა გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ განძიუკის მკვლელი უნდა დაისაჯოს.

გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი ავაკოვი ჯერჯერობით დუმს.

– ლუცენკოს ნაბიჯი მხოლოდ პიარია, – მიიჩნევენ ექსპერტები.

რადამ ლუცენკოს გადადგომას მხარი არ დაუჭირა. ახლა სიტყვა პოროშენკომ უნდა თქვას, მიიღებს თუ არა ის გენერალური პროკურორის გადადგომას.

მოსახლეობა, ისევე, როგორც დემოკრატიული სამყარო, ხელისუფლებისგან ქმედით ზომებს მოითხოვს. აქციები სათანადო მოთხოვნით გრძელდება.

პოლონეთი ევროკავშირიდან გადის?!

პოლონეთი შესაძლოა ევროკავშირიდან გავიდეს. ამის თაობაზე პოლონეთის ექს– პრემიერმა და ევროსაბჭოს თავმჯდომარემ დონალდ ტუსკმა განაცხადა.

– მიზეზია სასამართლო რეფორმა, რომელიც ევროკავშირმა პოლონეთს თავს მოახვია. პოლონეთში ამას არაერთგვაროვანი რეაქცია შეხვდა, – ამბობს ტუსკი.

ექსპრემიერის აზრით, ევროპა პოლონეთს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ვარშავის შესაძლო დემარშიც ბრიუსელში არავის აღელვებს.

– ევროკავშირს უფრო ბრიტანეთის შენარჩუნება სურს! დარჩება მის რიგებში პოლონეთი თუ არა, ეს ბევრისთვის მეორეხარისხოვანია, – აცხადებს ტუსკი.

პოლონეთის პრემიერმა ანჟეი დუდამ, თავის მხრივ, ევროკავშირიდან გასვლა გამორიცხა.

– ევროპა ჩვენი არჩევანია! ევროკავშირიდან გასვლაც გამორიცხულია, – ამბობს დუდა.

კალეიდოსკოპი

სპეციალისტებმა ევროპის ყველაზე ბინძური ქალაქი დაასახელეს



მაკედონიის ქალაქი ტეტოვო სპეციალისტებმა ევროპის ყველაზე ბინძურ ქალაქად აღიარეს.

ყველაზე ბინძური ქალაქების სია ეკოლოგების მიერ ევროპის 76 ქალაქის ანალიზებზე დაყრდნობით შეადგინეს. ტეტოვოს დაბინძურების მაჩვენებელმა 97,57 პუნქტი შეადგინა. მეორე ადგილი ამ რეიტინგში იტალიის ქალაქმა ნეაპოლმა დაიკავა (84,61 პუნქტი), მესამე ადგილი ერგო მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეს ინდექსით 82,17 პუნქტით.

ასევე ტოპ-ათეულში შევიდნენ: ალბანეთის დედაქალაქი ტირანა, იტალიის ქალაქი ტურინი, რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი, ბოსნია და ჰერცეგოვინას დედაქალაქი სარაევო, პოლონეთის ქალაქი კრაკოვი, ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი და უკრაინის დედაქალაქი კიევი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ☎ 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

რევაზ დავითაძემ მსოფლიოზე ბრინჯაო მოიპოვა



თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაციამ პირველი მედალი მოიპოვა. 89 კილოგრამ წონით კატეგორიაში რევაზ დავითაძემ ბრინჯაოს მედალი ირგუნა.

ქართველმა ძალოსანმა ატაცში 168 კგ დაძლია. მართალია ეს მე-4 მაჩვენებელი იყო, მაგრამ ჩვენებურმა იუნიორთა შორის, მსოფლიო რეკორდი დაამყარა! თანაც, აქამდე დაფიქსირებული მაჩვენებელი 13 კილოგრამით გაუმჯობესა.

ასევე კარგად იასპარეზა დავითაძემ აკვრაშიც, 203 კილოგრამი დაძლია. მართალია, ეს მაჩვენებელი მხოლოდ მე-5 ადგილს შეწვდა, მაგრამ აქაც ახალგაზრდებს შორის რეკორდი დაამყარა. თუმცა, უფრო სასიხარულო ის იყო, რომ ორჭიდის ჯამში 371 კილოგრამით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ბარსელონა პირველია, ვინც ფლეი ოფში გავიდა

ა ჯგუფი

ატლეტიკო-დორტმუნდი 2:0

მადრიდი. ვანდა მეტროპოლიტანო

1:0 საული (33), 2:0 გრიზმანი (80)

„სიგნალ იდუნა პარკზე“ დიდი ანგარიშით (4:0) გამარჯვების შემდეგ, თითქოს დორტმუნდელთა შეჩერება შეუძლებელი იყო. თუმცა, ატლეტიკომ შინაურ არენაზე თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა და ყველას დაანახა, რომ მათი ჩამოწერაც ნაადრევია.

დიეგო სიმეონეს გუნდი კატა-თაგვობანას ეთამაშა დორტმუნდს – უტევდა მაგრად, თავის საქმეს გააკეთებდა, შემდეგ ცოტას დაისვენებდა მოედანზევე და ისევ დიდი ზეწოლა, რომელსაც დორტმუნდმა ვერ გაუძლო. საულმა და გრიზმანმა 2 გოლი გაიტანეს, რომელიც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის.

ერთია, ორივე გუნდი დამაჯერებლად გავა შემდეგ ეტაპზე, რადგან 9-9 ქულა აქვთ, ხოლო უახლოეს მდევარ ბრიუგეს მხოლოდ 4 და რთული წარმოსადგენია ბელგიელები დავაში ჩაერიონ.

მონაკო-ბრიუგე 0:4

მონაკო. ლუი II

0:1, 0:2 ვანაკენი (12, 17პ), 0:3 ვესლი (24), 0:4 ვორმერი (84)

ასეთი დამცირება მონაკოს დიდი ხანია არ განუცდია. არადა, გაცილებით ძლიერ მეტოქეებს შეხვედრია. გარდა იმისა, რომ მონეგასკები ცუდ ფორმაში არიან, მათი მფლობელი დმიტრი რუბლიოვიც დაიჭირეს და, სავარაუდოდ, ეს ფაქტიც გუნდზე კიდევ უფრო ცუდად აისახება.

მონაკომ მოუგებელ მატჩთა სერია 15-მდე გაზარდა, მაგრამ ბრიუგესთან მარცხი კრიზისის მწვერვალია. ბელგიელებმა საქმე 24 წუთში მოილიეს – ვანაკენმა ორჯერ და ვესლიმ იმხელა ჰანდიკაპი მოუპოვეს ბრიუგეს, რომ მონაკო ამ მატჩის შემომტრიალებელი აღარ იყო. მეტიც, მატჩის ბოლოს ვორმერმა ბოლო მოუღო მეტოქეს.

სატუნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	4	3	0	1	8:2	9
2.ატლეტიკო	4	3	0	1	7:6	9
3.ბრიუგე	4	1	1	2	6:5	4
4.მონაკო	4	0	1	3	2:10	1

ბ ჯგუფი

ინტერი-ბარსელონა 1:1

მილანი. სან სირო

0:1 მალკომი (83), 1:1 იკარდი (87)

ბარსელონამ მერვედფინალში თამაში გაინაღდა. მართალია, კატალონიური გრანდი მე-3 ადგილზე მყოფ ტოტენჰემს 6 ქულით უსწრებს და ინგლისურ კლუბს ჯერ კიდევ აქვს თეორიული შანსი, რომ ბარსას აჯობოს, მაგრამ ბარსამ ორივე თამაში რომ წააგოს, ხოლო ტოტენჰემმა ორივე მოიგოს (მათ შორის, ბარსელონასთან სასურველი ანგარიშით), ერნესტო ვალვერდეს გუნდი ინტერს მაინც გაასწრებს, რადგან თუ ტოტენჰემი ორივე თამაშს მოიგებს, ერთ-ერთს სწორედ ინტერთან. მოკლედ, ბარსელონა აუცილებლად აჯობებს ან ერთს, ან მეორეს.

ინტერი კი ჯერ მშვიდად ვერ არის. მართალია, ტოტენჰემთან 3-ქულიანი ჰანდიკაპი აქვს, მაგრამ ლონდონში აქვს სათამაშო. თუ ის თამაში ინტერმა არასასურველი ანგარიშით წააგო, არავინ იცის, უმოტივაციო ბარსელონასთან რას იზამს ტოტენჰემი. ამიტომაც ლონდონში ურთულესი ბრძოლა ელის.

ბარსელონასთან კი მილანელები წაგებას გადაურჩნენ. კატალონიელები გაცილებით მეტს უტევდნენ და მომენტებსაც ბლომად ქმნიდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი გაიტანეს. ინტერმა კი თავისი უიშვიათესი შანსებიდან ასევე ერთი გამოიყენა და მხოლოდ ქულას დასჯერდა.

ტოტენჰემი-ჰსვ 2:1

ლონდონი. უემბლი

0:1 დე იონგი (2), 1:1 კეინი (78), 2:1 სეინსბერი (89სკ)

ჯგუფის აუტსაიდერებიდან ერთ-ერთს როდესღაც უნდა მოეგო და ეს ტოტენჰემმა მოახერხა. თუმცა, აუტსაიდერები ვთქვით და ტოტენჰემს ჯერ კიდევ აქვს შანსი ფლეი ოფში გავიდეს, თანაც, არცთუ ურიგო. ერთია, ჰოლანდიურ კლუბთან ძალიან გაუჭირდა და მხოლოდ ბოლოსკენ მოახერხა მნიშვნელოვანი 3 ქულის აღება.

უკვე მე-2 წუთზე სტუმრები ლუკ დე იონგის გოლით დაწინაურდნენ. ამის შემდეგ ტოტენჰემი კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა და უამრავი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ბოლომდე „იწვალა“, თუმცა, სასურველ შედეგს მაინც მიაღწია.

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	4	3	1	0	11:3	10
2.ინტერი	4	2	1	1	5:5	7
3.ტოტენჰემი	4	1	1	2	7:9	4
4.ჰსვ	4	0	1	3	4:10	1

გ ჯგუფი

ნაპოლი-ჰსუ 1:1

ნეაპოლი. სან პაოლო

0:1 ბერნატი (45), 1:1 ინსინიე (63პ)

საბოლოოდ ვერც ერთმა გუნდმა ვერ გარისკა 3 ქულაზე თამაში. არცაა გასაკვირი, რადგან ძალიან ეშინოდათ ერთმანეთის. ამიტომაც იყო, რომ პირველი ტაიმი ძალიან მშვიდ ტემპში წარიმართა და ბერნატის გოლი ზედ შესვენების წინ გავიდა.

მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდა ნაპოლი და სანამ გოლი არ გაიტანა, მანამდე არ მოისვენა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ კი, თამაშის მიმდინარეობა ისევ ძველ კალაპოტს დაუბრუნდა და გუნდებმა მშვიდად მიიყვანეს საქმე ბოლომდე.

ფაქტია, ორივე გუნდს მეტი შეუძლია, მაგრამ ფლეი ოფში გასასვლელად სერიოზული კონკურენტი ჰყავთ ლივერპულის სახით, შემდეგ ეტაპზე კი ჯგუფიდან მხოლოდ 2 ადგილია.

ცრვენა ზვეზდა-ლივერპული 2:0

ბელგრადი. რაიკო მიტიჩი

1:0, 2:0 პავკოვი (22, 29)

ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზა ცრვენა ზვეზდამ. სერბულმა კლუბმა წყალს გაატანა იმ ექსპერტთა აზრები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ცრვენა უხვად დაარიგებდა ქულებს ჯგუფში. ნურას უკაცრავად – ჯერ ნაპოლისთან ფრე, ამჯერად კი გამარჯვება ლივერპულთან. ჰსუ-საც თუ მოუგეს, დიდი შანსია რომელიმე გრანდი სულაც ევროპის ლიგის გარეშე დატოვონ.

ლივერპულს კი დამსახურებულად მოუგო. მომენტიც მეტი შექმნა, გოლებიც გაიტანა, ხოლო მერსისაიდელები საკუთარ თავს არ ჰგავდნენ. ლივერპულმა კარში პირველად 71-ე წუთზე დაარტყა. ეს ალბათ იმის ბრალიც არის, რომ იურგენ კლოპმა მცირე როტაციას მიმართა და დაისაჯა კიდეც. სერბები ნახევარ საათში პავკოვის დუბლით იგებდნენ. ლივერპულელებს დრო კი ჰქონდათ თამაშის შემოსატრიალებლად, მაგრამ უკბილოდ გამოიყურებოდნენ.

და მაინც, ლივერპული პირველ ადგილზეა ჯგუფში, მაგრამ წინ 2 რთული მატჩი ელის და ასეთ ფორმაში მყოფს, ფლეი ოფის საგზურის მოპოვება გაუჭირდება.

ცრვენას კი დასაკარგი არაფერი აქვს – თავისი საქმე გააკეთა და ახლა შეუძლია თამამად და თავისუფლად ითამაშოს. თუ რამეს გამოკრა ხელი დამატებით, ეს უკვე გმირობა იქნება.

სატუნირო ცხრილი:

1.ლივერპული	4	2	0	2	7:5	6
2.ნაპოლი	4	1	3	0	4:3	6
3.ჰსუ	4	1	2	1	11:7	5
4.ცრვენა ზვეზდა	4	1	1	2	3:10	4

დ ჯგუფი

შალკე-გალათასარაი 2:0

გელზენკირხენი. ველტინს არენა

1:0 ბურგსტალერი (4), 2:0 უტი (57)

შალკემ დამაჯერებლად მოუგო გალათასარაის. ამაში კი, მეტოქის მეკარე მუსლერაც წაეხმარათ, რომელმაც მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და გელზერკირხენელები უკვე მე-4 წუთზე დაწინაურდნენ. შემდეგ იყო უტის გოლი და შალკე მეტოქეს ქულებითაც გაექცა.

პორტუ-ლოკომოტივი 4:1

პორტუ. დრაგაო

1:0 ერერა (2), 2:0 მარეგა (42), 2:1 ფარფანი (59), 3:1 კორონა (67), 4:1 ოტავიო (90)

ლოკომოტივმა მე-4 მატჩიც წააგო ჯგუფში და ჩემპიონთა ლიგაზე მოთამაშე ერთადერთი ქართველი სოლომონ კვირკველიაც, სავარაუდოდ, ევროტურნირების შემდეგი სტადიის გარეშე დარჩა. პორტუსთან ქართველს არ უთამაშია, რადგან დისკვალიფიცირებული იყო, მის გარეშე კი პორტუგალიურმა კლუბმა რკინიგზელთა დაცვაში გაინავარდა და 4 გოლი გაიტანა.

პორტუ მთელი მატჩის მანძილზე ფლობდა უპირატესობას და გამარჯვება ეჭვქვეშ მაშინაც კი არ დაუყენებია, როდესაც ფარფანმა მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა. დარჩენილ მატჩებში პორტუს ქულაც ჰყოფნის, რათა ფლეი ოფში გავიდეს. ეს კი რთული ნამდვილად არ ჩანს.

სატუნირო ცხრილი:

1.პორტუ	4	3	1	0	9:3	10
2.შალკე	4	2	2	0	4:1	8
3.გალათასარაი	4	1	1	2	3:3	4
4.ლოკომოტივი	4	0	0	4	2:11	0

დეჭავუ: გაგრა-ტორპედო 7 წლის შემდეგ

გაგრა-დინამო 1:0 (დდ)

თბილისი. პეტრო არენა

1:0 მათიაშვილი (105)

გაგრა: შევჩუკი, ხოსიტაშვილი, სამხარაძე (კასრელიშვილი 118), გაფრინდაშვილი, ხაბელაშვილი, ლომსაძე (ივანიძე 73), გაფრინდაშვილი (პაპავა 113), კაკიაშვილი, სპანდერაშვილი (მათიაშვილი 82), კილაძე, სულთანიშვილი

დინამო: ბულისკერია, რუხაია, კობოური, ვაწაძე, ქოჩლაძე (ზივზივაძე 84), ივანისენია, ხარაბაძე, ივანიშვილი (გილმორი 65), შენგელია, ქაფანიძე (ლოჩოშვილი 52), ნინუა (ერგემლიძე 106)

დავით პეტრიაშვილის სახელობის არენაზე ძირითადმა დრომ ვერაფერი გაარკვია და 0:0 დასრულებული 90 წუთის შემდეგ, დამატებითი ტაიმები დაინიშნა.

მატჩის გარდამტეხი მომენტი 115-ე წუთი გამოვიდა, როდესაც კუთხურიდან ახლო ძელთან ჩაწოდებულ ბურთს ვაჟა მათიაშვილი დახვდა და თბილისელთა კარში ზუსტად გადაგზავნა.

მიუხედავად საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის რამდენიმე მცდელობისა, მათ მეტოქის კარის დალაშქვრა და ფინალში გასვლა ვერ შეძლეს, დინამო ფინალს მიღმა ზედიზედ მესამე სეზონში დარჩა.

თელავი-ტორპედო 0:1

თელავი. გივი ჩოხელი

0:1 აზაცკი (10)

თელავი: სანიკიძე, თოლორდავა, ნოზაძე (მაისურაძე 87), მ.ბაშელეიშვილი, კუკუჯანაშვილი (იოსელიანი 78), ჯიქია, ტვილდიანი, გოგოლიძე, ჭელიძე, რუხაძე, ნიქაბაძე (ნ.ბაშელეიშვილი 50)

ტორპედო: კვასხვაძე, აზაცკი, გეგეჭკორი, კუტალია (დაფე 85), დოლიძე, ქიმაძე (კუხიანიძე 73), მარინი, ჰლინკა, კობახიძე, ლაჩნი (კაპანაძე 67), გიგაური

მეცხრედ გავიდა საქართველოს თასის ფინალში ქუთაისის ტორპედო. წინა 8 მცდელობიდან, მისი მოგება კი 3-ჯერ მოახერხა.

მატჩის ერთადერთი გოლი მატჩის მე-10 წუთზე ოლეკსანდრ ოზაცკიმ გაიტანა. 25 წლის უკრაინელი მცველი კუთხურიდან გრიგოლ დოლიძის ჩაწოდებას ზუსტი და ძლიერი თავური დაჰკრა და იმერულ კლუბს ფინალის საგზური მოუტანა.

რაც შეეხება მის მეტოქეს, გაგრას, გუნდი მეორედ მოხვდა სატიტულო ბრძოლაში, პირველად ეს 2011 წელს მოახერხა და მაშინ თასის მფლობელი გახდა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გაგრამ ფინალში სწორედ ტორპედო დაამარცხა.

იტალიელები ისევ გვემუქრებიან

როგორც ცნობილია, 10 ნოემბერს ფლორენციაში „არტემიო ფრანკიზე“ იტალია და საქართველოს რაგბიში გაარკვევენ ურთიერთობას. ეს მატჩი ორივე გუნდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენთვის იმიტომ, რომ დავამტკიცოდ, გვეკუთვნის თუ არა 6 ერში თამაში. და იგივე იტალიელებისთვისაც, რომლებიც შეშინებულნი ჩანან და ყოველდღე გვემუქრებიან.

ჯერ იყო და იქაური პრესა ქართველების დადუმებაზე ალაპარაკდა, ამჯერად კი ნაკრების შუახაზელი ტომაზო კასტელომ „მიგვიჩინა“ ჩვენი ადგილი:

ტომაზო კასტელო:

– ჩვენი ნაკრები კარგი ტემპით ვითარდება, გვყავს კარგი ტალანტები, რომლებიც შესაბამისი განვითარების შემთხვევაში დიდ რაგბის ითამაშებენ, მეტიც, ვფიქრობ, რომ მათ მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებების დამარცხებაც შეეძლებათ. საქართველო დიდი ხანია 6 ერის კარზე აკაკუნებს, ეს უმაღლესი დონის ტურნირია. ამ მატჩში უნდა დავამტკიცოთ, რომ იტალია 6 ერის ერთ-ერთი მთავარი გუნდია და იქ საქართველოს ადგილი არ არის. რაც შეეხება ავსტრალიასთან და ახალი ზელანდიასთან მატჩებს, მათთან თამაში განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ვლადიმირ ვაისი: „ჯერ შორს არ ვიყურები“

აზერბაიჯანელები საქართველოს ნაკრების მწვრთნელით, ვლადიმირ ვაისით დაინტერესდნენ. არა, გადაბირებაზე არ არის საუბარი – იქაური პრესა დაინტერესდა და ალბათ ამით ფედერაცია მიახვედრა, რომ მსგავსი მწვრთნელია საჭირო.

– დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ნაკრებმა დ დივიზიონში პირველმა მოახერხა ფლეი ოფში გასვლა.

– დიახ, ჩვენ გავხდით გუნდი, რომელიც პირველი გავიდა ფლეი ოფში, თუმცა მთავარი მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. დარჩენილია კიდევ ორი ტური, სადაც შევეცდებით, ქულათა მაქსიმუმი მოვაგროვოთ.

– რას ელით თქვენ შემდეგ ეტაპზე?

– იქნება 4 თანაბარი დონის გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებს.

– ვის ელოდებით ერთა ლიგის ნახევარფინალებში?

– ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ სხვა ჯგუფებში ფავორიტების გამოსვლას, თუმცა ხდება სიურპრიზებიც. მაგრამ არ მსურს, კალკულაცია ჩავატარო, პირველ რიგში, მე ჩემს ჯგუფში დაფიქსირებული შედეგი მაინტერესებს.

– როგორ ფიქრობთ, გავა აზერბაიჯანი ჯგუფიდან?

გაგრძელება მე-10 გვერდზე

გედი ადამიანს შეეჩვია და თანამოძმეებთან აღარ დაბრუნდა

დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ სენტ-აივსში გარეულმა გედმა, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიიჩვიეს, თანამოძმეებთან საერთო ენის გამონახვა ვეღარ შეძლო.

როგორც ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებაში განაცხადეს, გედს სახელად სიდნის თავისი ყოფილი პატრონი რობი ადამსონი მოენატრა და მის გარეშე მოიწყინა, რომელმაც ის ფრინველის ჩვეულ გარემოში დააბრუნა.

ორგანიზაციის წევრებმა მამაკაცს სთხოვეს, რომ ფრინველი უკანვე დაებრუნებინა.

– ეს ჩვენი ურთიერთობის ისტორიის შესანიშნავი დასასრული გახდა, – აღნიშნა ადამსონმა.

გედი, რომელსაც კისრის არეში ორი ჭრილობა აღენიშნებოდა, ადგილობრივმა მცხოვრებმა ბალახებში იპოვა. მაშინ ფრინველი სულ ერთი დღის გამოჩეკილი იქნებოდა. 39 წლის ადამსონმა ის თავისთან წაიყვანა და შვიდი კვირის მანძილზე მასზე ზრუნავდა, სპეციალური საკვებით კვებავდა.

ადამსონის თქმით, გედს მასთან საწოლში ეძინა და მის ჩიხუახუას ჯიშის ძაღლს სახელად სოფისაც კი დაუმეგობრდა.

ბრიტანელმა დიდ ბრიტანეთს ცურვით შემოუარა

ბრიტანელმა როს ეჯლიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ის პირველი ადამიანი გახდა ისტორიაში, რომელმაც დიდი ბრიტანეთის კუნძულს გარშემო ცურვით შემოუარა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეკორდსმენმა თავისი გაცურვა 1 ივნისს დაიწყო, საათის ისრის მიმართულებით. ეჯლი ყოველდღე წყალში 12 საათს ატარებდა, მას ახლოს აცილებდა კატამარანი, რომელზეც შემდეგ ის ღამეს ათევდა. ამ დროის მანძილზე ბრიტანელი ერთხელაც არ გამოსულა ხმელეთზე. მას 157 დღე დასჭირდა 3317 კილომეტრის გასაცურად.

ეჯლიმ აღიარა, რომ ის არაერთხელ დასუსხეს მედუზებმა. ამავე დროს ის უმშვენიერესი დაისის თვითმხილველიც გახდა. გაცურვის დროს მან დახარჯული ენერგიის აღსადგენად 640 ბანანი შეჭამა.

33 წლის ექსტრემალისთვის ეს მესამე მიღწევაა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. 2016 წელს მან 19,5 საათში დაძლია მარათონული დისტანცია, რომლის დროსაც 1,4 ტონის წონის თოკით გამობმული ავტომობილი ათრია. ორი თვის შემდეგ ის 19 საათის განმავლობაში ადიოდა თოკზე, რომლის დროსაც ჯამში 8848 მეტრის (ევერესტის სიმაღლე) სიმაღლე დაძლია.

ზოოპარკის დამთვალიერებლებმა ნიანგს ქვები დაუშინეს

ჩინეთში ზოოპარკის დამთვალიერებლებმა ნიანგს ქვები იმისთვის ესროლეს, დარწმუნებულიყვნენ, რომ რეპტილია ნამდვილი იყო. შედეგად ცხოველი სერიოზულად დაშავდა.

ინციდენტი ფუჯზიანის პროვინციის ქალაქ სიამინში მოხდა. დამთვალიერებლების მსხვერპლი გახდა 37 წლის ნიანგი სახელად სიაო ხე. რეპტილია 1250 კილოგრამს იწონის, ხოლო მისი სიგრძე 5,8 მეტრს აღწევს და ის მთელ აზიაში ყველაზე დიდ ნიანგად ითვლება.

ნასროლი ქვებიდან ერთერთი ნიანგს თავში მოხვდა და მას სისხლდენა დაეწყო. რეპტილიას დაზიანებები კიდურებზეც აღმოაჩნდა.

ზოოპარკის თანამშრომლებმა სამართალდამცავები გამოიძახეს, მაგრამ ადგილზე მათ მისვლამდე დამნაშავე დამთვალიერებლებმა თავს გაქცევით უშველეს.

– ჩვენ მაშინვე ამოვტუმბეთ წყალი აუზიდან და მის მკურნალობას შევუდექით. სიაოს მკურნალობას ათი დღიდან ორ კვირამდე დრო დასჭირდება, – განაცხადა ზოოპარკის ზედამხედველმა ჩუან სიანმა.

ხელისუფლებამ იმ დამთვალიერებლებზე, რომლებმაც ნიანგს ქვები დაუშინეს, ძებნა გამოაცხადა, თუმცა იმის გამო, რომ ნიანგის ვოლიერთან სათვალთვალო კამერები არ აყენია, დამნაშავეთა ძებნა შეიძლება გართულდეს.

ინდოელს შემთხვევით მოჭრილი ხელი მიაკერეს

ინდოეთის შტატის კერალას მცხოვრებს მოჭრილი ხელი ადგილზე მიაკერეს. სახერხი საამქროს 22 წლის თანამშრომელმა ტრავმა ხარის გამო მიიღო, რომელიც მეზობელი ფერმიდან გამოიქცა. როდესაც ცხოველი საწარმოო დაწესებულების შენობაში შეიჭრა, ახალგაზრდა მას გამოეკიდა, ფეხი წამოკრა და წაიფორხილა, რის შედეგადაც ხელი მომუშავე ჩარხში მოუყვა. მანქანამ მამაკაცს ხელი ხელის მტევნის მიდამოში გადაუხერხა.

დაშავებული კოლეგების სწრაფმა რეაქციამ გადაარჩინა. მათ სისხლდენა შეუჩერეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მისი მოჭრილი ხელის მტევანი კი ყინულებთან ერთად პაკეტში მოათავსეს.

ხელის ადგილზე მისაკერებლად ორი ოპერაციის გაკეთება გახდა საჭირო, რომლებიც 12 საათი გრძელდებოდა. პირველი ოპერაციის დროს ქირურგებმა შეაერთეს სისხლძარღვები და ძვლები. სამი დღის შემდეგ კი მეორე ოპერაციის დროს ნერვები და კუნთები შეაერთეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხელის მტევნის ფუნქციონირება 90 პროცენტითაა აღდგენილი. ექიმები ვარაუდობენ, რომ ახალგაზრდას სრულად გამოჯანმრთელებისთვის ორი-სამი თვის მანძილზე ფიზიოთერაპია დასჭირდება.

გერმანელ პენსიონერს ტახის მოკვლისთვის ბრაკონიერობის ბრალდება წაუყენეს

ბერლინში პენსიონერმა ყასაბმა ნაჯახით ტახი მოკლა, რათა შემდეგ მისი „ხარისხიანი ხორცით“ პირი ჩაეტკბარუნებინა.

ინციდენტი გვიან საღამოს რაინიკენდორფის ოლქში მოხდა. უცნობმა პირებმა პოლიციას ტყე-პარკთან გაჩერებული საეჭვო ავტომობილის შესახებ აცნობეს. სამართალდამცავები მითითებულ ადგილზე მივიდნენ და მანქანაში 75 წლის ქალი აღმოაჩინეს, რომელიც მეუღლეს ელოდებოდა.

პოლიციელები ტყეში შევიდნენ და მალე ტახის თავმოჭრილ გვამს გადააწყდნენ. ცხოველი გატყავებული იყო, თუმცა ბოლომდე არ იყო გამოშიგნული. საკვებად გამოსადეგი შიგნეულობა და ხორცის ნაჭრები მოთავსებული იყო კოლოფებში, იქვე ეწყო ფოლადის დანები და სხვადასხვა ინსტრუმენტები.

იქვე შორიახლოს იმალებოდა 80 წლის მამაკაცი. მან პოლიციის ოფიცრების წინაშე ტახის მოკვლა აღიარა და განმარტა, რომ სხვაგვარად „ხარისხიან ხორცს“ ვერ დააგემოვნებდა.

პოლიციამ ხორცის კონფისკაცია განახორციელა და ის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს გადასცა. პენსიონერის წინააღმდეგ კი ბრაკონიერობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ავსტრალიის სანაპიროს ზვიგენები უტევენ

ავსტრალიაში ზვიგენის თავდასხმის შედეგად 35 წლის მამაკაცი დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი კვინსლენდის შტატიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე უიტსანდის კუნძულების სიდის ყურეში მოხდა. ზვიგენის მსხვერპლად ერთ-ერთი მოცურავე იქცა. მეგობრებმა ის წყლიდან ხელებსა და ფეხებზე მიყენებული სერიოზული ჭრილობებით ამოიყვანეს და მაშველები გამოიყვანეს. მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

– მას კიდურებზე ძალიან ღრმა ჭრილობები ჰქონდა, ბევრი სისხლი დაკარგა და გულის შეტევაც დაემართა, – განაცხადა ცენტრალური კვინსლენდის სამაშველო სამსახურის თანამშრომელმა ბენ მაკლიმ.

აღსანიშნავია, რომ სექტემბერში იმავე ადგილზე ზვიგენები ორჯერ დაესხნენ თავს მობანავეებს. ორივე თავდასხმა ერთსა და იმავე დღეს მოხდა. დაზარალდნენ 46 წლის ქალი და 12 წლის გოგონა, რომელმაც ამ თავდასხმის შედეგად ფეხი დაკარგა.

სულ მიმდინარე წელს ზვიგენების თავდასხმის შედეგად ავსტრალიაში 16 ადამიანი დაშავდა, ხოლო ორი დაიღუპა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვლადიმირ ვაისი: „ჯერ შორს არ ვიყურები“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

– აზერბაიჯანს კარგი ნაკრები ჰყავს და ჯერ კიდევ აქვს შანსი ფლეი ოფში იასპარეზოს.

– ეთანხმებით თუ არა იმ ფაქტს, რომ კოსოვოს ნაკრებს უფრო მეტი შანსები აქვს?

– ქულებით, დიახ. თუმცა, არსად წერია, რომ აზერბაიჯანს კოსოვოსთან შანსი არა აქვს. ყველა გუნდი თანაბარია

და შანსები ყველას აქვს.

– როგორ შეძლებს აზერბაიჯანის ნაკრები წარმატების მიღწევას?

– თქვენ ინტელექტუალური და ყურადღებიანი მწვრთნელი გყავთ. ის წარმატებულია საკლუბო დონეზე. მას შეუძლია იგივე გააკეთოს ნაკრებში. მინდა მას წარმატება ვუსურვო.

– თქვენი გუნდი უკვე ფლეი ოფშია. სავსებით შესაძლებელია, საქართველო ევროპის ჩემპიონატზე გავიდეს და ერთი მატჩი ბაქოში ჩაატაროს. როგორ მოგწონთ ეს პერსპექტივა?

– სიმართლე გითხრათ, ეს ჯერ კიდევ არ მგონია. ჯერ არ მინდა ვისაუბრო იმაზე, რაც შორსაა. თუმცა, არ ვარ წინააღმდეგი, ჩემს გუნდთან ერთად ბაქოში ვითამაშო. მე ნამყოფი ვარ, როგორც ფეხბურთელი, როდესაც ნაკრებში ვთამაშობდი. თქვენ გაქვთ ძალიან კარგი სტადიონი და ბაქო არის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი ევროპაში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

8 ნოემბრისათვის

ვერძი – ფინანსურ სფეროში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა გამორიცხული არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯებიც. **კურო** – წარმატებული დღეა. ბიზნესში გიმართლებთ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **ტყუპები** – აქტიურობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **კირჩხიბი** – ძალებს გაუფრთხილდით. ენერგიის ფუჭად ხარჯვა რეკომენდებული არ არის. **ლომი** – ზედმეტი ხელგაშლილობა დაგაზარალებთ. სიამაყე საღად აზროვნებაში ხელს გიშლით. **ქალწული** – მოემზადეთ აქტიური მუშაობისათვის. იყავთ მობილიზებული და ინიციატივიანი. **სასწორი** – ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ, ოღონდ ზომიერება დაიცავით. **ღრიანცალი** – ღირსების გრძნობა შეინარჩუნეთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – გაბედულება, სითამამე და ორგანიზებულობა დღის დევიზია. ემოციებს ნუ აჰყვებით. **თხის რქა** – დრო სწორად გაანაწილეთ. მთავარი საქმით დაიწყეთ. პირად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა საჩქაროდ გამოასწორეთ. **მერწყული** – შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **თევზები** – სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებაზე მიანიშნებს. ნუ იჩხუბებთ ახლო ნათესავებთან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 2. მძაფრი სუნის მქონე ქიმიური ელემენტი, აირი; 3. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 4. მუსლიმთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 5. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 9. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი; 12. რამდენიმე სართულად გამართული თარო; 14. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 15. იაპონური ჭიდაობა; 17. ავადმყოფური ლტოლვა, მისწრაფება რაიმესადმი; 18. ტბა თბილისში.

თარაზულად: 6. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შთამომავალი; 7. ნეპალის დედაქალაქი; 8. კომპიუტერული თაღლითი; 10. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. ხის ორი ფირფიტისგან შემდგარი მუსიკალური ტკაცუნა ესპანური ცეკვების აკომპანიმენტისთვის; 13. მატრიცების ამოსატვიფრი ფოლადის შტამპი; 16. მონებისა და დამნაშავეების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 20. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წიდა; 2. აგუნა; 3. კიევო; 5. ანიელი; 6. კიმიგაიო; 9. კონსილიუმი; 10. ბალახვანი; 11. სეგიდელია; 14. ემუ; 16. გვრინი; 18. ხადა.

თარაზულად: 1. წულაძე; 4. აკაპულკო; 7. სულიკო; 8. ვიმპელი; 12. უნცია; 13. ლეგატო; 15. ნადალი; 17. სია; 19. კულტივატორი; 20. რიალი; 21. ჩაროზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰორაციო; 2. წნორი; 3. სკანსენი; 4. მურტალო; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. თარხანი; 14. ლეკები; 15. ზაქი; 17. ფეოლა; 18. ზღვა.

თარაზულად: 6. დოფინი; 7. აკაპულკო; 8. მადერა; 10. ტარტუ; 11. როსტომიანი; 13. კლაუზულა; 16. სადაფი; 19. ღრმაღელე; 20. ნიველირი.

სამგლოვიარო განცხადებები

თენგო ხორავას

40 გაუსაძლისი, მეტად მწარე ტკივილიანი დღე ილევა უშენოდ. როგორ მოგეპარა კოჭლი სიკვდილი, რომ მოგპარა სიცოცხლე, აზრიანი, შინაარსიანი, დასახული მიზნის მიღწევადი ცხოვრება. იმ ავბედით დროს გაექეცი, როდესაც აფხაზეთში ულმობლად დატრიალდა ცეცხლის კვერი, იწვოდა ცეცხლმოკიდებული მიწა და სიკვდილი ლესავდა ცელს. გაექეცი და რუსეთის ერთ-ერთ მშვიდ ქალაქს – პენზას შეაფარე თავი. იქ გქონდა დამთავრებული ინსტიტუტი და ბევრი საამედო მეგობარი გეგულებოდა, რომელთა დახმარებითაც ააწყვე ცხოვრება. ერთხანს გაგიჭირდა, მაგრამ თავდაუზოგავი შრომითადა და ნაცნობ-მეგობართა დახმარებით წელში გაიმართე. ნიჭი, ჭკუა და შრომისმოყვარეობა – ეს სამი კომპონენტი აუცილებელია მიზნის მისაღწევად და ეს სამივე კომპონენტი უხვად იყო შენში.

დაოჯახდი, შეირთე გალელი ქალი გოგო ეკა თაკალანძე, შენივე შესაფერისი გარეგნობითაც და ინტელექტით. ერთად ზრდიდით ორ უმშვენიერეს გოგოს, სოფიკოს და ლიზას. ბედნიერები იყავით, მაგრამ „ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?!“ ეშმაკს შეშურდა თქვენი ბედნიერება და წაგვართვა შენი თავი. დაგკარგეთ დიდი იმედი, სიკეთით სავსე, ჰუმანური, ალალი და სამართლიანი პიროვნება. რა სიკეთე და სიყვარული დაგითესავს, ბიჭო! სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის მიმდევართ როგორ შეაყვარე ასე თავი? ყველა შენზე ლოცულობდა, ღმერთს აბარებდნენ შენს სულს. შენ მიწის ანგელოზი იყავი და ზეცის ანგელოზებთან წაგიყვანა ღმერთმა. მაგრამ ჩვენ აქ გვინდოდით. 50 წელი შეგისრულდა, არ დაგცალდა, თორემ რა სასწაულებს მოახდენდი ხალხის სასიკეთოდ, თუმცა, რაც გაგიკეთებია, უკვალოდ არ გამქრალა: ზღვა ცრემლი, მდუღარე ცრემლი დაიღვარა იმ დღეებში. უამრავი ყვავილი დაგიფინეს ფიანდაზებად მარადისობისკენ მიმავალ გზაზე. ათასობით ადამიანის გულში იცოცხლებ დიდხანს ისე, როგორც შენი სახელოვანი ბაბუა ბაგრატ ხორავა და შენი ალალ-მართალი მამა ბიძინა, რომელიც შენსავით 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. შენც მათთან ერთად დიდხანს ემახსოვრები ხალხს, თქვენ, ხალხის კეთილდღეობისთვის დამაშვრალი ადამიანები.

ჩემო თენგო, შენ სიკვდილი გამიადვილე, ხოლო მადლობელი ვარ შენი ლამაზი და ჭკვიანი მეუღლის, ეკა თაკალანძის, რომ რუსეთის ცივ მიწას არ მიგაბარა და დიდი წვალებით ჩამოგიყვანა მშობლიურ გალში. შენ ხომ ძალიან გენატრებოდა შენი სახლი და აპირებდი ზაფხულში ჩამოსვლას. ვაგლახ, ვერ შეგისრულდა ნატვრა.

უღვთო იყო შენი სიკვდილი, უსამართლობა გვჭირს. შენმა მეუღლემ შენი დედ-მამის გვერდით მიგიჩინა ბინა. შენს გაყინულ სხეულს დედა გაგითბობს, მარგო ყოლბაია, რომელმაც ასეთი კარგი ბიჭი გაგზარდა.

შენ მშობლიური მიწა დაგეყარა და რომ წარმოვიდგენ შენს ლამაზ სხეულს, შენს თეთრ ხელებს, მიწადაყრილს, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს.

მშვიდობით ჩემო ტკბილო, მშვენიერო, საამაყო ძმისშვილო, ზეცაში იყავ, აქ კი „სახელი დარჩეს შენისა, ერთგულად ნამსახურისა!“

დრო ვერ შეგეხოს, დრომ ვერ წაგშალოს,
ალალ ფიქრებში რომ ათენებდი,
შენს ნატერფალზე მუდამ ყვაოდეს
მხოლოდ ია და ქრიზანთემები,
დაე, წლებს კვლავად წლები მოებას
რამ დაგვავიწყოს შენი სახელი
შენი სიცოცხლე დარჩეს ლეგენდად
დიდი ცხოვრების ნაკარნახევი.

მზია ხორავა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მეტროპოლიტენის მუზეუმში თბილისიდან მოხვედრილი უცნობი ექსპონატებია გამოფენილი

ნიუ იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში, ევროპული დეკორატიული კულტურის სივრცეში, 556-ე ოთახში ებრაული კულტურის ნიმუშებია გამოფენილი. ვერცხლის ორნამენტირებული სარიტუალო ნივთები ებრაული ბიბლიიდან ციტატებით, მუზეუმში საქართველოდან, თბილისიდან მოხვდა.

ინფორმაცია ამის შესახებ კვლევის ცენტრმა გაავრცელა:

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეტროპოლიტენის მუზეუმში საქართველოსთან დაკავშირებული ექსპონატები სულ რამდენიმეა, ამ მხრივ ექსპონატების ისტორია საინტერესოა. თუ გაქვთ ინფორმაცია ამ ექსპონატების შესახებ, გთხოვთ გაგვიზიაროთ.

პიანისტი სანდრო გეგეჭკორი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა

18 წლის პიანისტი სანდრო გეგეჭკორი კლოდიტ სორელის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

მუსიკოსი რამდენიმე წელია ფონდ „იავნანას“ საამაყო სტიპენდიანტია. მან გასულ წელს ვენაში გამართულ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე გრანპრი და ორი სპეციალური პრიზი მოიპოვა. წელს კი მას ქალაქ ტამბოვში მიანიჭეს რახმანინოვის პრიზი და დიდი მაესტროს სახლ-მუზეუმში დაფუძნდა ახალგაზრდული ფესტივალი „გეგეჭკორი-რახმანინოვთან“.

პირველ ნოემბერს სანდრო ფონდ „იავნანას“ თანადგომით ნიუ იორკში, ფრედონიაში დაგეგმილ კლოდიტ სორელის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა.

4 ნოემბერს სანდრო გეგეჭკორი სამ კოლეგასთან ევან ჰუსთან, სტეფანი პატინაუქსთან და ლუკაშ იოდერთან ერთად კონკურსის ლაურეატი გახდა.

საერთაშორისო კონკურსზე მან რევაზ ლაღიძის რონდო ტოკატა შეასრულა.

ახალგაზრდა მხატვარ შორენა ტატურაშვილს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება



ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარ შორენა ტატურაშვილს საზოგადოების დახმარება სჭირდება.

სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. მას უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს და თავის ტვინზე გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება.

ინფორმაცია ამის შესახებ სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია გუგუშვილმა გაავრცელა:

– უნიჭიერეს ახალგაზრდა მხატვარს, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს, პიერ ჰესლერის სახელობის პრემიის ლაურეატს შორენა ტატურაშვილს ჩვენი საზოგადოების დახმარება სჭირდება. შორენას მძიმე დიაგნოზი დაუსვეს და თავის ტვინზე სასწრაფო ოპერაციას ელოდება.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს შორენას სულისშემძვრელი ნამუშევრები, არასდროს დაავიწყდება მისი სევდიანი პერსონაჟები სიზმარივით უცნაურ გარემოში; მათი დამფრთხალი სულის ფეთქვას მაყურებელი გულწრფელად თანაუგრძნობს და ამ განცდის წყალობით თავადაც უფრო კეთილი და გულმოწყალე ხდება.

აკადემიის პედაგოგები და სტუდენტები მზად არიან, შორენას დასახმარებლად საუკეთესო ნამუშევრები გამოიტანონ საქველმოქმედო აუქციონზე, რომელიც გაიმართება მალე. მობრძანდით და მონაწილეობა მიიღეთ აუქციონში. არ მივცეთ ამ ხალასი ნიჭის სხივს ჩაქრობის საშუალება. ის ხომ ნამდვილ ვარსკვლავად უნდა იქცეს თანამედროვე ქართული ხელოვნების კაბადონზე.

თიბისი ბანკში შორენა ტატურაშვილის დასახმარებლად სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

სტეფანწმინდის მუზეუმი ინგრევა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი სტეფანწმინდის მუზეუმის მძიმე მდგომარეობაზე საუბრობს და სათანადო უწყებებისგან მისთვის ყურადღების მიქცევას ითხოვს:

– სტეფანწმინდის მუზეუმი დღესაც ასე გამოიყურება.

არ ვიცი, რომელი ჯობია, თელავივით დაასრულონ მუზეუმი და სამარცხვინო იყოს თუ 6 წელი აკეთონ და არაფერი ეტყობოდეს, როგორც აქ, სტეფანწმინდაში.

ეგებ ეს უკანასკნელი ჯობდეს. მოვა ვინმე სხვა, მცოდნე და გააკეთებს კარგად.

არადა კარგა დიდი ბიუჯეტები დაიხარჯა ასეთ პროექტებში, მსოფლიო ბანკის კრედიტით, რომელიც ჩვენ უნდა გადავიხადოთ.

შედეგი კოჭლია.

ვირუსია ეს ქოცობა.

თბილისი ქუჩის მუსიკის ფესტივალს უმასპინძლებს



10 ნოემბერს თბილისში ქუჩის მუსიკის ფესტივალს უმასპინძლებს. ქუჩის მუსიკა და ქუჩის მუსიკოსები დღითიდღე უფრო და უფრო პოპულარული ხდება საზოგადოებაში, ამიტომ ერთი დღე – 10 ნოემბერი ქუჩის მუსიკის დღეა.

ეს არის ფესტივალი მუსიკოსებისთვის და ბენდებისთვის, მათთვის, ვინც უკრავს, მღერის, ქმნის ნებისმიერი ჟანრის კომპოზიციას. ეს არის უბრალოდ სასიამოვნო დღე მუსიკის მოყვარულთათვის, რომელთაც შეეძლებათ ერთი დღის განმავლობაში დატკბნენ მუსიკის ჰანგებით ღია ცის ქვეშ.

ქუჩის მუსიკის დღე ყოველწლიური ფესტივალია ლიტვაში, რომელიც 11 წლის წინ ცნობილმა ლიტველმა მუსიკოსმა ანდრიუს მამონტოვასმა დააფუძნა. იდეა სწრაფად გავრცელდა და ფესტივალს ბევრი სხვა ქვეყანა შეუერთდა. ეს კარგი შანსია უცნობი მომღერლებისთვის, გახდნენ ცნობილები, პროფესიონალი მუსიკოსებისთვის კი გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობები. ეს არის გარემო, სადაც მუსიკოსები ახორციელებენ თავიანთ იდეებს, ავლენენ გრძნობებს. ეს კარგი საშუალებაა ამაღლდეს მუსიკის კულტურა საქართველოში, შემოქმედების სიყვარული, ამცირებს ყოველგვარი რასიზმის გამოვლინებასა თუ დისკრიმინაციას.

უკვე 6 წელია, ქუჩის მუსიკის დღის ფესტივალი საქართველოშიც ტარდება. ქუჩის მუსიკის დღე წელსაც ჩატარდება, აღმაშენებელი-რუსთაველის ქუჩებზე. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, 10 ნოემბერი გრანდიოზული დღე იქნება მუსიკის მოყვარულთათვის. ყველას, ვისაც სურვილი აქვს იმღეროს, დაუკრას ან სულაც იხმაუროს, შეუძლია მონაწილეობის მიღება ამ პროექტში. აქ არ იქნება არანაირი შეზღუდვა, რადგან არ აქვს მნიშვნელობა არც ასაკს, არც ეროვნებასა და არც რეპერტუარს.

ვაჟა მანია ამერიკულ „ნიჭიერში“ მონაწილეობს

მომღერალი ვაჟა მანია ამერიკულ „ნიჭიერში“ მონაწილეობს. „ჯეოსტარეღი“ ვაჟა მანია საქართველოდან წლების წინ წავიდა და მუსიკალური კარიერის გაგრძელება უცხოეთში გადაწყვიტა.

მომღერალმა ბერკლის სასწავლებელი წითელ დიპლომზე დაამთავრა და არაერთ მუსიკალურ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა. ვაჟამ ცხოვრება ამერიკაში გადაწყვიტა და საქართველოში დაბრუნებაზე ამ ეტაპზე არ ფიქრობს.

ქართველ მომღერალს საკუთარი შესაძლებლობების კიდევ ერთხელ გამოცდის სურვილი გაუჩნდა და 2019 წლის ამერიკულ „ნიჭიერში“ მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო.

„საქართველოს ვარსკვლავს“ რუსკა მაყაშვილი და ვანიკო თარხნიშვილი წაიყვანენ

მუსიკალურ გადაცემას „საქართველოს ვარსკვლავი“ პირველ არხზე მსახიობები რუსკა მაყაშვილი და ვანიკო თარხნიშვილი წაიყვანენ.

პროექტი გიორგი ხაბურზანიამ და დემნა ჯაფარიძემ საზოგადოებრივ მაუწყებელს შესთავაზეს და მათგან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, მთელ საქართველოში კონკურსანტების შესარჩევი ტურები დაიწყეს.

„საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული მომავალ წელს ჩვენს ქვეყანას ევროვიზიაზე წარადგენს. საუკეთესოს ჟიური და მაყურებელი ერთობლივად გამოავლენენ.

მზია ორველაშვილმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ცეკვის ჯგუფი შექმნა

მოცეკვავე მზია ორველაშვილმა დიდი ხნის ოცნება აიხდინა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ცეკვის ჯგუფი ჩამოაყალიბა.

მზია ორველაშვილი:

– ჯგუფი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მინდოდა ჩამომეყალიბებინა ჩემს სტუდიაში. ჩემი ოცნება ახდა. პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა ჯგუფი – შშმ ბავშვების ჯგუფი.

ჩემო პატარებო, მიყვარხართ. გიორგი გაჩეჩილაძე – დიდი მადლობა, რომ ფედერაციაში გაგვაწევრიანე და გვერდში დაგვიდექი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7656	ევრო — 3.1766
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5864	100 რუსული რუბლი — 4.1712

ამინდის პროგნოზი 8 ნოემბრისთვის

82 წლის ამერიკელი პირველად მივიდა არჩევნებზე და გარდაიცვალა

ამერიკის ტეხასის შტატის მძიმედ დაავადებული ხანდაზმული ქალბატონი საარჩევნო უბანზე მივიდა და არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

82 წლის გრეისი ლუ ფილიპსის ახლობლების თქმით, ის თავის ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა არჩევნებზე, ვინაიდან თვლიდა, რომ მისი ხმა მაინც არაფერს შეცვლიდა. თუმცა ბოლო დროს არჩევნების თემა მისთვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა და ამიტომ მას სურდა, რომ აუცილებლად მიეღო მონაწილეობა ე.წ. „შუალედურ არჩევნებში“.

მას შემდეგ, რაც ქალი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა, მას პნევმონია და სეპსისი დაემართა, თუმცა მიუხედავად საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ის კვლავაც არჩევნების მნიშვნელობაზე საუბრობდა.

ის წავიდა არჩევნებზე და პირველად თავის ცხოვრებაში ხმის მიცემაში მიიღო მონაწილეობა. ქალის სიძის თქმით, მან თავისი ხმა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს მისცა, რამდენიმე დღეში კი ის გარდაიცვალა.

– ის მეტად ამაყად და ბედნიერად გრძნობდა თავს. გამუდმებით ამბობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ხმის მიცემა შეძლო, – განაცხადა გარდაცვლილის სიძემ ჯეფ გრიფიტმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნეიმარი: „მსაჯმა შეცდომები დაუშვა“

პსჟ-ს ვარსკვლავმა ნეიმარმა ნაპოლისთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ შეხვედრის არბიტრმა ბიორნ კუპერსმა ბევრი შეცდომა დაუშვა.

ნეიმარმა ასევე აღნიშნა, რომ კუპერსი მას უპატივცემულოდ ეპყრობოდა, რის გამოც ნეიმარი წყობიდან გამოვიდა.

– მსაჯმა შეცდომები დაუშვა, მაგრამ ამას კიდევ მოვითმენდი, რომ არა მისი საქციელი, როდესაც მან ჩემ მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა. მსაჯი ასე არ უნდა იქცეოდეს, – განაცხადა ნეიმარმა.

ნაპოლის და პსჟ-ს შეხვედრა 1:1 დამთავრდა.

არსენ ვენგერი მილანში მუშაობას არ აპირებს

არსენ ვენგერმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ არ აპირებს მილანში მუშაობას და არ იცის, ეს ჭორები რატომ გავრცელდა.

ვენგერის თქმით, ის შეეცდება, საფრანგეთში დასაქმდეს, თუმცა არც სხვა ქვეყნებში მუშაობაა გამორიცხული.

– მილანიდან არავინ შემხმიანებია, ამიტომ არ ვიცი, რატომ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ გუნდში ვაპირებდი მუშაობას. ჯერჯერობით არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას. ზამთარში ბევრი რამ გაირკვევა, – განაცხადა არსენ ვენგერმა.

ვენგერმა არსენალში 22 წელი იმუშავა და პოსტი 2018 წელს დატოვა.

იურგენ კლოპი: „ცვენა ზვეზდასთან საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ცვენა ზვეზდასთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა კარგად არ ითამაშა, მაგრამ ყველაფერთან ერთად იღბალიც არ იყო მათ მხარეს:

– მეტოქემ პირველ ტაიმში გვაჯობა, ხოლო მეორე ნახევარში კი ისინი თავს კარგად იცავდნენ. ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება, თუმცა ვაღიარებ, რომ უკეთ უნდა გვეთამაშა.

ცვენა ზვეზდამ ლივერპულს 2:0 მოუგო და ამ შედეგის შემდეგ ჯგუფში ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

მოამზადა ბექა ბოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

– ძვირფასო, მანქანა გამიფუჭდა.

– რა მოუვიდა?

– კარბურატორში წყალი შევიდა.

– კარბურატორში წყალს რა უნდა, სადაა მანქანა?

– მდინარეში, ძვირფასო.

●●●

ქალი გინეკოლოგს ეკითხება:

– უკაცრავად, თქვენთან ხომ არ დამრჩა ტრუსიკი?

– არა, მასეთი არაფერია ჩვენთან.

გარკვეული დროის შემდეგ გინეკოლოგი ქალს დერეფანში შეეჩეხა და ეკითხება:

– იპოვეთ თქვენი ტრუსიკი?

– ვიპოვე! კბილის ექიმთან დამრჩენია!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– თქვენ ოჯახში დაბადების დღეს როგორ აღნიშნავთ?

– გააჩნია, ვისი დაბადების დღეა, თუ ცოლისაა, რესტორანში, ხოლო თუ ჩემი, კალენდარზე წითელი ფანქრით.

●●●

სოციალურ ქსელში ერთი ქალი მეორეს წერს:

– ქალბატონო, თქვენ აქ ისე ხშირად შემოდიხართ ჩემ გვერდზე, რომ ვერ ვხვდები: ჩემი მეუღლის საყვარელი ხართ თუ ჩემი საყვარლის ცოლი?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას ნიშნავს გონიერი რისკი?

– ეს როდესაც გინდოდა გაგერისკა, მაგრამ გადაიფიქრე.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს ჩემ ყოფილ ქმარს შევხვდი.

– მერე?

– პირდაპირ მაგიდაზე ცეკვავდა და სვამდა. უკვე ერთი წელია, რაც გავშორდით და ეს ნაძირალა დღემდე ზეიმობს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა მსგავსებაა ქალსა და ინტერნეტს შორის?

– რაც უფრო დიდხანს გრძელდება კავშირი, მით უფრო ძვირი გიჯდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ერნესტო ვალვერდე: „ინტერთან არ გაგვიმართლა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ ინტერთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონა გამარჯვებას იმსახურებდა, თუმცა ფრეც არ არის ცუდი შედეგი:

– მთელი მატჩის მანძილზე გვქონდა უპირატესობა და თამაშის სადავეებს ვაკონტროლებდით, თუმცა ინტერი ძლიერი გუნდია და მათ თავიანთი ერთადერთი შანსი გამოიყენეს. ფრე კარგი შედეგია, რადგან ჯგუფიდან გასულები ვართ.

ვალვერდემ მესიზეც ისაუბრა და თქვა, რომ არგენტინელი ჯერ ბოლომდე მზად არ არის სათამაშოდ.

ბეილმა შეიძლება რეალი დატოვოს

გარეთ ბეილის რეალიდან წასვლაზე ისევ განახლდა საუბრები. ბოლო პერიოდში ბეილი ვერ აჩვენებს იმ თამაშს, რასაც მისგან ელის გულშემატკივარი, ამიტომ შესაძლოა მან რეალი დატოვოს.

ბეილის მანჩესტერ იუნაიტედში ტრანსფერზე ადრეც იყო საუბრები, მაგრამ საბოლოოდ უელსელმა ფეხბურთელმა რეალში დარჩენა ამჯობინა.

იანვარში შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს. გარეთ ბეილი რეალში 2013 წელს გადავიდა და გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო, თუმცა ის ყოველთვის სტაბილური თამაშით არ გამოირჩეოდა.

მოამზადა ბექა ბოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. ნარკოტიკული ნივთიერება; 3. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 9. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. აეროპორტი რომში; 11. პოლიტიკური პარტიის საპროგრამო, წერილობითი ინფორმაცია; 14. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 16. ქართული ნაციონალური კერძი; 18. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 1. ურუგვაის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 4. ქართული ზღაპრების პერსონაჟი დიდი ფრინველი; 7. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა; 8. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობს; 12. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 13. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 15. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 20. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 21. საავტომობილო ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა